ВКП Италии ВКП. 4 Кол.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეოთხე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ, წ. არ. და მაზრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

დღიური

კორეელებს აეკრძალათ იაპონიაში შესვლა.

იაპონიის მთავრობამ დააკმაყოფილა აჯანყებულ გლეხების მოთხოვნილება.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ თავის სახელმწიფოს საზღვრებიდან გადაასახლა ვრანგელი.

უკანასკნელი ცნობით, ტიბეტში (აზია) დიდი აჯანყებაა.

ციმბირის თეთრგვარდიელთა მეთაურს გენერალ პეპელიაევს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

№ 30 (882) ოთხშაბათი, 6 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 30 (882)

ძლევამოსილი კომუნიზმი

წითელი არმიის ზარბაზნების გუგუნში, აურაცხელი ხალხის თანადასწრებით, ჩვენი ბრძოლის ჰიმნის ჰანგებით, დავასაფლავეთ ჩვენ ამხ. ლენინის ნეშტი. მსუსხავი ყინვა სჭრიდა თვალებს და ყინულად აქცევდა მუშებისა და მუშა-ქალების თბილ ცრემლებს. მაგრამ მთელ მასაზე, მთელ შეკრებილ ხალხის თავს დასტრიალებდა, უძლეველი სული ახალი ცხოვრებისა, რომლის მოციქული და შემომქმედი იყო ჩვენი განსვენებული ბელადი.

შვიდასი ათასმა კაცმა გაიარა მუშათა კავშირების სახლის დარბაზში. მილიონმა ხალხმა გაიარა დროშებით წითელ მოედანზე, კრემლის ძველი კედლების ახლო, სადაც ის ჩაესვენა საფლავში თავის მებრძოლ ამხანაგებს შორის. მთელმა ქვეყანამ სცა პატივი წითელი პროლეტარული ლაშქარის დიდ მთავარსარდალს. როგორც ერთი კაცი, ისე შემჭიდროვდენ მუშათა რიგები თავისი საუკეთესო მეგობარის კუბოს გარშემო. ახლობელ სოფლების გლეხები მასიურად მიეჩქარებოდენ მისი საფლავისაკენ.

ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვანი მეცნიერები, ხალხი მსოფლიო სახელით, იდგენ მუშებთან ერთად საპატიო ყარაულში, იმის კუბოსთან, ვინც განგვშორდა ჩვენ.

ბაპტისტები, სექტანტები, მოლები, თვით მართლმადიდებელი სამღვდელოების გაბატონებული ჯგუფი, მიდიოდენ გრანდიოზულ სამგლოვიარო პროცესიაში. ყოფილი მეფის რუსეთის ერები, ყველა ნაციონალური ძალები მიაცილებდენ ინტერნაციონალური პროლეტარული ბელადის კუბოს. მხოლოდ საზიზღარი ემიგრაციის ძაღლები ჰყეფდენ ჩახრინწული ხმით, მაგრამ ეს ყეფა არავის ესმოდა...

რას ნიშნავს ეს საყოველთაო ცნობა?

ლენინი იყო—და დარჩება საუკუნოების განმავლობაში—საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი. და ამავე დროს ლენინი იქნება პირველი პროლეტარული **სახელმწიფოს** მესაჭე. ის იყო მუშათა კლასის ბელადი. და ამასთან ერთად ის იყო ახალი სახელმწიფო რეჟიმის, **საბჭოთა ძალაუფლების** რეჟიმის განსახიერება. ლენინის საყოველთაო ცნობა, ეს არის ახალი რეჟიმის, ცხოვრების ახალი წყობილების, ახალი ურთიერთობის, ახალი სახელმწიფოს, ხელისუფლების სათავეში მდგომ ახალი კლასის ცნობა. ვინაიდან ამისათვის ბრძოლაში დაიწვა ამხანაგ ლენინის ბრწყინვალე ცხოვრება—ლენინის საყოველთაო ცნობა გამოხატავს **სოციალიზმის გამარჯვებას**,—რისთვისაც ცხოვრობდა, იბრძოდა, იტანჯებოდა და აზროვნებდა ვლადიმერ ილიჩი.

ო, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდება, ხელების გულზე დაკრეფა, დათრობა გამარჯვებით! კლასთა ბრძოლა არ შეწყვეტილა ჯერ თვით ჩვენს ქვეყანაში, სხვა ქვეყნებში კი—ჯერ კიდევ მხოლოდ ახლოვდებიან სოციალური ქარიშხალის გრგვინვის ხმები. მაგრამ ერთი ცხადია. ჩვენში, ჩვენს კავშირში, უკვე არის აგებული ახალი წყობილების ჩონჩხი. ყირამალა გადაბრუნდა სოციალური პირამიდა. საზოგადოების დაბალი წრეები, მუშათა კლასი ძალაუფლებას ჩაუდგა სათავეში. მას ზურგს უმაგრებენ გლეხების მილიონი დაკოჟრილი და ძარღვიანი ხელები. ამ კლასების ხელმძღვანელობით მუშაობენ სხვები. უკვე არავინ არ ედავება მუშათა კლასს ძალა-უფლებაზე. მუშათა კლასი მთელი ხალხის შეგნებაში გადაიქცა საზოგადოების უდავო ხელმძღვანელად, როგორც შემომქმედი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი **კანონიერი მთავრობისა**.

მასების არაჩვეულებრივი მობილიზაცია, თანაგრძნობის უდიდესი თბილი ტალღა, რომელმაც ფაფარი აშალა ჩვენს ქვეყანაში და მძლავრად მიექანება პროლეტარიატის პარტიისაკენ, მისკენ, მის დასახმარებლად, მისთვის ზურგის გასამაგრებლად მძიმე წუთში,—ყველაფერი ეს შედეგია ხანგრძლივი, დაუღალავი მუშაობის; ყველაფერი ეს დამამტკიცებელია იმის, რომ მაგრათ გაიდგა ფესვი ახალმა წყობილებამ, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ამხ. ლენინი.

საზღვარ გარეთ მილიონმა მშრომელებმა დაჰხარეს თავის დროშები და გამოგვიწოდეს ჩვენ თავისი ძმური ხელები. მაგრამ არა თავისი-სახელმწიფოების გარშემო, არა თავისი მმართველი კლასების გარშემო, არა ამ კლასების იდეების გარშემო ახდენენ ისინი თავისი ძალების მობილიზაციას. არა! მათ **წინააღმდეგ**, მათთან **საბრძოლად**, იქ დევნილი, იქ ჯურღმულებში ჩადენილი, მაგრამ მუდამ ცოცხალი, ძლიერი **კომუნიზმის** იდეის გარშემო ამჭიდროებს მშრომელი მასა თავის რიგებს, იმ იდეის გარშემო, რომელსაც ვერასოდეს ვერ მოსპობენ, რომელიც დღეობით კი არა, საათობით იზრდება ის, რაც ჩვენთვის არის ძალის წყარო, ახალი ენერგიის ცხოველმყოფელი წყარო, საბჭოთა რეჟიმის ურყეობის უდიდესი საბუთი, ის ძველი ქვეყნისთვის არის ძახილი მისი დაღუპვის შესახებ.

ძველ სამყაროს არა აქვს მომავალი. მისი მატერიალური საფუძვლები გამოჭმულია და ძირმომპალი. თავის შიგნით ის მალავს მილიონ მესაფლავეებს. მას უკვე აღარ აქვს დიდი გამაერთიანებელი იდეები, რომლებიც ფლობენ მასებს და ამიტომ იქცევიან ძალათ. მაგრამ მის ნაცვლად მოდის ახალი ხალხი, მოდიან ახალი იდეები, რომლებიც ძლევამოსილათ მიექანებიან მთელი დედამიწის პირზე. და, როგორც მრისხანე გაფრთხილება კაპიტალისთვის, ეწყობა და იზრდება მშრომელთა ქვეყანა, მილიონ მშრომელთა გზის მანათობელი ვარსკვლავი.

ამხ. ლენინი ჩვენთან არის. ჩვენთან არის უდიდესი ბელადი. ვინაიდან ასეული მილიონები თვლიან მას თავისი განთავისუფლების სიმბოლოდ ვინაიდან მებრძოლთა აურაცხელი არმია თავს იყრის მისი იდეების გარშემო. ვინაიდან მაგრდება გრანიტის საძირკველი მუშათა დიქტატურისა, რომელსაც აშენებდა ვლადიმერ ილიჩი.

კომუნიზმი ძლევამოსილად მიიწევს წინ. თვით თავისი სიკვდილითაც ამხანაგი ლენინი ამჭიდროებს და აკავშირებს მასებს. დასაფლავების შემდეგაც, მისი სახელი წინ გაუძღვება ჩვენს არმიას. მან მსოფლიოში გამოისროლა იდეების უამრავი სიმდიდრე. მან მთელი ეს სიმდიდრე შეაერთა რამდენიმე უბრალო ლოზუნგებში, რომლებიც აკავშირებენ ჯერ კიდევ შეუკავშირებელ მასებს, აქცევენ რკინის რიგებათ, უდიდესი არმიის ბატალიონებათ. ამ არმიამ უკვე დაიკავა ცარიზმის ციხე-სიმაგრე. ის მთელ მსოფლიოსაც დაიპყრობს.

მოსკოვის „პრავდა" 30 იანვ.

ექვსი დღე, რომელსაც არ დაივიწყებს რუსეთი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ნადეჟდა კონსტანტინოვნა ამბობდა: ყველაფერი კარგად მიდის. სანადიროდ იყო. მე არ წამიყვანა,—სურს „უძიძოთ" დარჩეს. მეცადინეობა (კითხვა) კარგად მიდის. კარგ ხასიათზეა—ხუმრობს, ხარხარებს. ექიმები ახლა იმ აზრის არიან, რომ ზაფხულისათვის მეტყველება დაუბრუნდება...

და ექიმები ყველაფერს ამას ადასტურებდენ.

ახლა კი დაგვირეკეს: ილიჩი მოკვდა...

...ერთი საათის შემდეგ ჩვენ მივემგზავრებით გორკაში უკვე მკვდარ ილიჩთან: ბუხარინი, ტომსკი, კალინინი, სტალინი, კამენევი და მე.

რიკოვი ავადმყოფი წევს. მივემგზავრებით ავტომობილით.

იყო დრო, როცა მივექანებოდით გორკასაკენ ილიჩის გამოწვევაზე, როცა ის კარგად იყო,—თითქო ფრთები გვესხა! ახლა კი...

ვუცქერით ვარსკვლავებს. ვცდილობთ დაველაპარაკოთ ერთმანეთს. ილიჩი მოკვდა,—რა იქნება, რა იქნება! გზა კი ასე გრძელია,—მთელი ორი საათი უნდებით. გზაზე თოვლის ზვავები დგას. ტელეფონის მავთულებს ზუზუნი გააქვს. ჰაერი ასე გამჭვირვალეა. ღამე ნათელია.

გორკაში ვართ. უკვე ჭიშკართან შეკრებილა ხალხის ჯგუფი—ეს არიან ამხანაგები, ილიჩის მცველები. ისინი ნაძვის ტოტებით ფარავენ თოვლიან გზას სახლისაკენ, სადაც ასვენია ილიჩი. მახსოვს, სულ რამდენიმე ხნის წინათ, რამდენიმე კვირის წინათ ფანჯრის ჭუჭრუტანიდან მე, კამენევი და ბუხარინი ვიყურებოდით პარკში, როცა ვლადიმერ ილიჩი გამოჰყავდათ სასეირნოდ. ღიმილით, ილიჩის კეთილი ღიმილით იხდიდა ის ჯანსაღი ხელით თავიდან ქუდს და ესალმებოდა ამავე ამხანაგებს მცველი რაზმიდან. როგორ გაუბრწყინდათ მათ სახეები. როგორი სიყვარულით უცქეროდენ თავის ილიჩს ეს მუშები, რომლებსაც როგორც ბავშვებს უყვარდათ ის... დღეს კი ყველა მათ თავები დახრილი აქვთ, ერთი მეორეს ეკვრიან, ლაპარაკობენ ჩურჩულით, იხოცენ ცრემლს.

შევედით სახლში. ილიჩი ასვენია მაგიდაზე. უკვე ჩაუცვამთ ახალი ტუჟურკა. ყვავილები. ნაძვის ტოტები. ასვენია დიდ ოთახში. აქვე ღიაა კარები აივანზე. ყინვაა. ამ აივანზე 1920 წ. ზაფხულში ვიჯექით ჩვენ, ვსვამდით ჩაის და ვსწყვეტდით ვარშავაზე შეტევის საკითხს.

ზამთრის ნათელი თოვლიანი დღეა. ოთახში, სადაც ასვენია ლენინი, ცივა. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. გლეხების სახლები სულ ახლო სჩანან აივანის ღია კარებიდან. ილიჩი—გლეხური რუსეთის ფონზე—დაუვიწყარი სურათია.

ილიჩი ცოცხალივით გამოიყურება. მიწვა, რომ დაისვენოს. დიაღ ის სუნთქავს. აი, აი, აიწევა მკერდი. სახე მშვიდი აქვს. ის უფრო კეთილი გახდა. ნაოჭები გასწორდენ. ზამშის ნაოჭები პირის ქვედა ნაწილში, კისერთან ახლო, დარჩა. ამ რამდენიმე დღის წინათ გაიპარსა. სულ ახალ გაზრდათ გამოიყურება. სახე კეთილი კეთილი, ნაზი. მეჩვენება, რომ მხოლოდ მოხუცი უკმაყოფილოა, თუ რათ უცქერით მას ასე ხანგრძლივათ და რათ გვეპარება თვალზე ცრემლი. სად გაგონილა ეს, რომ ბოლშევიკები სტიროდენ. ვკოცნით შუბლს—ილიჩის მშვენიერ, შეუდარებელ შუბლს. ეს შუბლი ცივია ახლა, როგორც მარმარილო. გული გაჰქვეითა აზრმა: მაშ ეს ნამდვილათ საუკუნოთ, სამუდამოთ!..

ღამის ორ საათზე კრემლში დანიშნულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა. მატარებელით ვბრუნდებით უკან. დავიგვიანეთ მხოლოდ ერთი საათით. შევედით. დაუვიწყარი დარჩება ეს წუთიც. სხედან ყველა ორმოცდაათი კაცი და... სდუმან. სამარისებური სიჩუმეა. როგორც სჩანს, ისინი დიდი ხანია სდუმან—იმის შემდეგ, რაც მოვიდენ აქ ყველა ისინი, უშიშარი ლენინელები, მთელი პარტიის მიერ არჩეული მებრძოლები, რომელთაც არა ერთხელ შეუხედავთ თვალში სიკვდილისათვის, სხედან დადუმებულნი, ენა არ უბრუნდებათ პირში სიტყვის სათქმელად. შემდეგ ალაპარაკდენ. ისხდენ დილამდი. დაობლებულნი. ამ საათების განმავლობაში უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს, ვიდრე მთელი თავისი წარსული ცხოვრების, ერთად ბრძოლის მრავალი წლების განმავლობაში.

სამშაბათს მთელი ცენტრალური კომიტეტი და მთელი ცენტრალური საკონტროლო კომისია მიემგზავრება გორკაში. მესამე კლასის ორ ვაგონში ზის ლენინის პარტიის მთელი გენერალური შტაბი. ვაგონებს მკრთალად ანათებენ სანთლის ნაჭრები. ცალკე ჯგუფებად მოკუნჩხულან სხვადასხვა კუთხეებში. სდუმან. აქა იქ ერთმანეთს უზიარებენ მოგონებებს ციხეში ყოფნის დროიდან. ამხანაგი, რომელიც ამ წუთში „ხუმრობდა" და სრულიად დამშვიდებით მოუთხრობდა ამხანაგებს, თუ როგორ აწამებდენ მას კატორღაში ორლოვის ცენტრალში, ერთი წუთის შემდეგ, როცა იხელთა დრო, სადღაც კუთხეში იწმენდს ცრემლს, რომ არავინ შენიშნოს.

გავჩერდით. აქედან ნაწილი გაემგზავრა გლეხების ცხენებით, ნაწილი ფეხით წავიდა. ვიწრო გზით, ერთი მეორეს მიჰყვებიან ც. კ. წევრები გორკასაკენ.

მოდიან ახალ-ახალი ამხანაგები და მეგობრები. ილიჩის ნეშტთან დგანან პირველი საპატიო ყარაულები. წითელ კუბოში ჩაასვენეს მისი ცხედარი. თავქვეშ პატარა წითელი ბალიში უდევს. უფრო ნაზათ, უფრო კეთილად გამოიყურება მისი სახე. ხელი დევს, როგორც ცოცხალი ადამიანის. ის უკანასკნელ წუთამდი ყველაზე უფრო ცოცხალი დარჩა.

⁂

ოთხშაბათს დილა ადრიან ცხედარის გამოსვენება გორკადან. ჩამოვასვენეთ კიბიდან. გამოვიტანეთ ქუჩაზე. აქ სახეს უფრო მკვდრის ფერი აქვს. რამოდენიმე რბილი თოვლის ფიფქი დაეცემა ილიჩის ტუჟურკას. სწრაფად აცლიან მას... ოთხი ვერსი ქვეითად მიაქვთ, ცხადია, ხელით. მთელი გზის სივრცეზე აურაცხელი გლეხები. 13 წლის სოფლელი ბიჭები გაცვეთილ ქურქებში ხელებით იწმენდენ ცრემლებს. არავინ პირჯვარს არ იწერს. პირველი გვირგვინები—უბრალო, ფიჭვის ტოტებიდან.

კავშირთა სახლის დარბაზი... ვინ გაამშვენიერა ასე ეს დარბაზი?

ვისმა მოსიყვარულე და მადლიანმა ხელმა მორთო ასე საუცხოვოდ ეს დარბაზი, რომელიც ისტორიულად უნდა იქცეს? და რა კარგია, რომ ჩვენ თავის დროზე უარი ვსთქვით პირველ გეგმაზე, რომლის თანახმად ილიჩის ცხედარი უნდა დაგვესვენებინა კრემლის ერთ-ერთ დარბაზში რა კარგია, რომ ხალხის გამოთხოვება ილიჩთან მოხდება სწორედ კავშირთა სახლში.

საუცხოვო დარბაზი კავშირთა სახლში ზღაპრად იქცა. მარტო ეს დარბაზი—შესანიშნავი, თვალწარმტაცი, დიდი სამგლოვიარო სიმფონიაა.

და აქ დაიწყო მთავარი,—დიდი, დაუვიწყარი რამ: ქუჩებში გამოჩნდა ხალხი, მუშათა კლასი, მისი შვილები. რა საუცხოვო იყო ეს ხალხის ზღვა! დაუსრულებელი დენა ხალხის ტალღების. დღე და ღამე, ზამთრის მოკლე დღეებში, გრძელი ღამის სუსხში მოსკოვის ქუჩებზე იდგენ ასი ათასობით მუშები, მათი დედები, მათი ცოლები და დები, იდგენ გლეხები, წითელარმიელები, მოწაფეები, ბავშვები, მთელი, მთელი ხალხი. უცდიდენ თავიანთ რიგს, რომ შესულიყვნენ „კოლონის" დარბაზში, გაევლოთ ბელადის და მასწავლებელის ცხედარის ახლო. 700 ათასმა კაცმა გაიარა ეს დარბაზი ოთხ დღეში. და ეს ტალღა კიდევ გაგრძელდებოდა, რომ შაბათს დასაფლავების წინ არ შეეწყვიტათ. ამაზე უდიდესი სურათი არ მოსწრებია მსოფლიოს. ხალხი დაეწყო თავისით. ხუთი მილიციელი საუცხოვოდ იცავდა წესრიგს იმ ადგილებში, სადაც 50 ათასობით ხალხი იყო თავმოყრილი. ეს საქმე ადვილი იყო. 50 ათასი თვითვე იცავდა წესრიგს წყნარათ, შეპყრობილი ერთი აზრით, შეკავშირებული ერთი გრძნობით, ეს უთვალავი მასა თვითვე ჩამწკრივდა. თითქმის ფიზიკურადაც შეიძლებოდა იმის მოსმენა, თუ ილიჩის გენია როგორ შლიდა ფრთებს ამ უთვალავ ხალთა მასებზე. ყველა როგორღაც უზომოდ, მოსიყვარულე თავაზიანი და კეთილი იყო ერთი-მეორესთან. თვითეული თითქო ერთი-მეორეს თვალში უცქეროდა და ეძებდა ნუგეშს და თანაგრძნობას. სახეები უფრო მგრძნობიარე გახდენ. თვითეული განიცდიდა ისტორიულ მომენტს და ეს იყო აღბეჭდილი თვითეულის სახეზე.

დაუსრულებელი ნაკადით შედიოდა ეს ტალღა დარბაზში და იქიდან მთელ რიგ კარების გავლით ისევე მწყობრად გამოდიოდა უკანვე. როგორც ზღვა ეალერსება პიტალო კლდეს, ისე ეს ხალხის ძლიერი ტალღა ეალერსებოდა თვალებით ხალხის საყვარელი და ღვიძლი მეგობარის მკვდარ ცხედარს.

ამ დარბაზიდან წასვლა შეუძლებელი იყო. საათობით იდგა თვითეული ჩვენგანი, უცქეროდა ამ მშვენიერ ხალხს, გულში იკრავდა იმის გრძნობებს. არ შეიძლებოდა ამ სურათისათვის თვალის მოშორება. დღით და დილის ხუთ საათზედაც ჩვენ აქ ვხვდებოდით ასობით ჩვენს მომუშავე ამხანაგებს. ხოლო ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა—კიდევ უფრო ლამაზი და შეკავშირებული. მუშათა მასა მეორეჯერ განიცდიდა თავის რევოლიუციას...

დიახ, ასე მხოლოდ ჩვენ უნდა დაგვესაფლავებინა ჩვენი ილიჩი. უბრალო ხალხმა, აღფრთოვანებულმა ლენინის იდეებით, ჩვენთან ერთად მიიღო მონაწილეობა ამ დასაფლავებაში.

⁂

... სამგლოვიარო მარშის აქვითინებული ხმები. ამ მარშის მოსმენა ყოველთვის ძნელია აუღელვებლად. ხოლო ეხლა მას ასრულებენ კუბოსთან—მერე ვის კუბოსთან?—ლენინის!..

მთელი პარტია აქ იყო საყვარელზე უსაყვარლესის კუბოსთან.

მუშები და მუშა ქალები ხელში იყვანდენ ბავშვებს, უჩვენებდენ მათ ილიჩს და რაღაც ყურში უჩურჩულებდენ.

საპატიო ყარაულში—განსვენებული ილიჩის თავთან და ფეხებთან—იდგენ რიგ-რიგობით მუშათა კლასის ყველა სასიქადულო ადამიანები. თითქმის თვითეული ქარხნიდან მოდიოდენ ხალხი დაზგებიდან. თვითეული ყაზარმიდან—უბრალო წითელ არმიელები. მხოლოდ მუშების რჩეულებს, მხოლოდ მათ, ვინც უყვარს და ვისაც ენდობა მთელი მასა, ხვდა წილად ამ ყარაულში დგომა. გლეხი და მუშა ქალები, მეზღვაურები და წითელარმიელები, პარტიული ვეტერანები და მოზარდი ახალგაზრდობა, რუსები და გერმანელები, კომინტერნელები და „ნაციონალები"! ყარაულში იდგენ თვით ნორჩი პიონერები—მუშების ჩინებული, მშვენიერი ბავშვები. როგორი ალერსით ჩადაუსვამდა მათ თავზე ხელს ცოცხალი მოხუცი...

საპატიო ყარაულში მდგომთ სახე უეცრად ეცვლებათ. აი ყარაულში სდგას ფინლიანდიელი რევოლიუციონერი კრემენი.

ივლისის დამარცხების შემდეგ მას ჩვენმა პარტიამ დაავალა ილიჩის დაცვა. უდიდეს განსაცდელების დროს მას სახეზე არც ერთი ძარღვი არ შემკრთალა. ეხლა კი ის გაფითრებულია, როგორც სიკვდილი. და—ამაოდ მალავს ცრემლებს.

და ილიჩი წევს წინანდებურად დამშვიდებული, კეთილი, რაღაც კიდევ უფრო ბრძენი, ყველაფრის მცოდნე. და მართალს ამბობს ბუხარინი: იძლევა თავის უკანასკნელ ბრძანებას—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! ბოლშევიკებო—ყველა ქვეყნისა შეკავშირდით!

შაბათ-საღამოა. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა. ნადეჟდა კონსტანტინოვნას სიტყვა. ვინ დაივიწყებს ამ მომენტს? სიჩუმეა. ისმის, როგორ მიფრინავს ბუზი ამ უზარმაზარ აუდიტორიაში. სწორეთ ათ სიტყვაში გამოხატა ყველაფერი არსებითი ლენინისა და ლენინიზმის შესახებ.

— მისი გული ძგერდა მხურვალე სიყვარულით ყველა მშრომელებისადმი, ყველა დაჩაგრულებისადმი. თვითონ ის არასოდეს არ ლაპარაკობდა ამის შესახებ. ის არა მარტო ლაპარაკობდა და მოუთხრობდა, ის ყურადღებით **ისმენდა** იმას, თუ რას ეუბნებოდა მას მუშა... მუშათა კლასს შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ, როგორც ბელადს ყველა მშრომელებისა. მას უნდოდა ძალაუფლება მუშათა კლასისათვის, მას ესმოდა, რომ მუშათა კლასისათვის საჭიროა ეს ძალაუფლება არა იმისათვის, რომ ააშენოს თავისთვის კეთილი ცხოვრება სხვა მშრომელთა ხარჯზე, მან იცოდა, რომ მუშათა კლასის ისტორიული ამოცანაა—გაანთავისუფლოს ყველა დაჩაგრულები... რუსეთის მუშა ერთი მხრივ მუშაა, მეორეს მხრივ კი გლეხი.

— ამხანაგებო, გარდაიცვალა ჩვენი ვლადიმერ ილიჩი, მოკვდა ჩვენი საყვარელი, ჩვენი ერთგული ადამიანი. ამხანაგო კომუნისტებო, მაღლა ასწიეთ ის დროშა, რომელიც ძვირფასი იყო ლენინისათვის, დროშა კომუნიზმისა. ამხანაგო მუშებო და მუშა ქალებო, ამხანაგო გლეხებო და გლეხის ქალებო, მთელი ქვეყნის მშრომლებო შეერთდით მტკიცე რიგებით, დადექით ლენინის დროშის ქვეშ, კომუნიზმის დროშის ქვეშ.

დიახ, ეს სიტყვა სავსებით ისტორიულ წუთის ამოცანაზე იყო. დიახ, ის ღირსი იყო ვლადიმერ ილიჩის. დიახ, ჩვენ ეხლა კიდევ და კიდევ დავინახეთ ჩვენი ნადეჟდა კონსტანტინოვნას ნამდვილი გმირობა. რაც უფრო ძნელი იყო მომენტი, მით უფრო მტკიცე და გაბედული იყო ყოველთვის ნადეჟდა კონსტანტინოვნა. მაგალითად, 1917 წ. ივლისის დღეებში. მაგრამ—**ეხლა!** მხოლოდ მას შეეძლო ამ წუთში სთქვა სიტყვა და ისიც—**ასეთი** სიტყვა.

გაივლიან წლები და ათეული წლები. და ამ მშვენიერ სიტყვას წაიკითხავენ და ის ღრმათ ჩაწვდება გულში კომუნისტების ახალ და ახალ თაობას.

ყველა ჩვენ, დანარჩენ ორატორებს, რომელნიც გამოვდიოდით ყრილობას ამ სხდომაზე. გვეშინოდა ტირილი არ დაგვეწყო პირველ სიტყვიდანვე. ამიტომ ჩვენ ვცდილობდით „მშრალი ვყოფილიყავით". და ის არ გამოვიდა, რაც ჩვენ გვინდოდა. სიტყვებს ვერ ვძრავთ. არ ვიყავით სიტყვების გუნებაზე... სმოლენსკის გლეხმა, პუტილოვის მუშამ, წითელპრესნის მუშა ქალმა, აღმოსავლეთის ხალხთა ორატორებმა გაალამაზეს საღამო. შუაღამისას ილიჩის კუბოს წინ ერთხელ კიდევ გაიარა მთელმა მეორე ყრილობამ, მთელმა საბჭოთა რუსეთმა.

დილით ასევე ორგანიზაციულათ ჩაიარა პეტროგრადის (ლენინგრადის) დელეგაციამ, რომელშიაც შედიოდა 1.200 კაცი: მუშები, მუშა ქალები, წითელარმიელები, ახალგაზრდობა. ყველა ტიროდა. პიტერის მუშებს უყვარდათ თავისი ილიჩი განსაკუთრებული ნაზი სიყვარულით. ისინი, რომელნიც პირველნი გაყვენ ლენინს ცეცხლში, ეხლა მოვიდენ, რომ უკანასკნელი პატივისცენ მას. ფერმკრთალი სახეები, დაგუბებული ცრემლები, მოკრძალებითი სიჩუმე. პეტროგრადელებთან ერთად ჩამოსული ორი ორკესტრი სტირის მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ არ გაივლის დელეგაცია. ჩამოიტანეს საუცხოვო დროშა—უკეთესი ჩვენ არ გვინახავს. ათავსებენ ამ დროშას კუბოს მახლობლათ. წყნარათ იძინე, ილიჩ..

⁂

კვირა 27 იანვრის დილა. უკანასკნელი საპატიო ყარაული. ისმის „ინტერნაციონალი"—ხმა მაღლა, მწყობრათ, გამარჯვებულის ზეიმით. გამოგვაქვს ილიჩის ნეშტი. რა კარგია, რომ ეს ხდება დილით, დილა ადრიანათ! სიმსუბუქის რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას განვიცდით.

ზამთრის ხანაში თითქოს განგებ, საშინელი ყინვა ჩამოვარდა, რომელიც 26 გრადუსამდე აღწევს, **მილიონი კაცი** მოვიდა წითელ მოედანზე ილიჩის ნეშტისთვის თაყვანისაცემლათ. და ისევ ამ ხალხზე უძლიერესი არ უნახავს კაცობრიობას.

რა კარგია, რომ გადაწყვიტეს ილიჩის დასაფლავება აკლდამაში! რა კარგია, რომ ჩვენ დროზე მოვისაზრეთ ამის შეკეთება! ილიჩის ნეშტის მიწაში ჩაფლა—ეს მეტისმეტათ აუტანელი იქნებოდა...

აკლდამაზე მოკლე, მაგრამ სრულიად საკმარისი წარწერაა **ლენინ.** აქ მართლაც უკვე არასოდეს არ მოვა ბალახი სახალხო ბილიკზე. აქ, მახლობლათ გაიზრდება ლენინის მუზეუმი. თანდათანობით მთელი მოედანი გარდაიქცევა ლენინის პატარა ქალაქათ. გაივლიან ათეული წლები და საუკუნოები—ეს საფლავი თანდათან უფრო ახლობელი და ძვირფასი გახდება ათეულ და ასეულ მილიონ ხალხისთვის, მთელი კაცობრიობისათვის. აქ მოვლენ საფლავისათვის თაყვანისაცემათ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკების კავშირის ყველა კუთხეებიდან,—იმ კავშირის, რომელსაც უჭირავს მთელი ხმელეთის ერთი მეექვსედი ნაწილი, არამედ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ამერიკიდან და ყველა ქვეყნებიდან.

4 საათზე კუბოს უშვებთ აკლდამაში; მას მიაცილებს სალიუტი. სალიუტით აცილებს მას მთელი საბჭოთა რუსეთი. პეტროგრადში სამგლოვიარო დემონსტრაციაში ამ დღეს მონაწილეობას იღებს 750 ათასი კაცი; ასეთი მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია არ ახსოვს პიტერს ყველა ამ წლების განმავლობაში.

მოსკოვში ხალხი მიდიოდა წითელ მოედანზე, რომ თაყვანი ეცა ილიჩის ნეშტისათვის. აქ, მთელი ხალხის დასანახავათ, აღმართული იყო კუბო ლენინის ნეშტით. პიტერში კი ხალხი მიდიოდა მარსის მინდორზე (რევოლიუციის მსხვერპლთა მინდორი), სადაც შეიძლებოდა დაენახა მხოლოდ 53 ანთებული ცეცხლი—ვლადიმერ ილიჩის წლოვანების რაოდენობის მიხედვით. და მაინც მოვიდა მთელი ლენინგრადი.

ხარკოვში მთელი ქალაქი მონაწილეობას იღებს ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავ დემონსტრაციაში. როსტოვში, კოსტრომაში, კიევში, არხანგელსკში—ყველგან ასეთივე დემონსტრაციებია გამართული. მილიონი გულები შეხმატკბილებულათ ძგერენ.

პარიზში, ქრისტიანიაში, პეკინში, ბერლინში, პრაგაში, ლონდონში,—მთელს მსოფლიოში მრავალმილიონ ხალხს პირზე აკერია მხოლოდ ერთი სახელი: **ლენინ.**

აკლდამა სადაც დასვენებულია ილიჩის ნეშტი. კუბოს ვფარავთ ორი დროშით, სამგლოვიარო დემონსტრაციაში მონაწილე 10,000 დროშიდან, მხოლოდ ორი დროშით. ეს არის კომინტერნის და რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის დროშები. მაგრამ უკანასკნელ წუთში, მიუხედავათ ყარაულისა, აკლდამასთან მიდის ხნიერი გლეხი. დაუცადა რა ხელსაყრელ მომენტს, ის გადმოგვცემს ჩვენ პატარა სამგლოვიარო ტილოს და სარანის მაზრის გლეხების სიგელს ორ იმ ძლიერ ორგანიზაციების დროშებთან ერთად, რომელნიც შიშის ზარს სცემენ მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიას, მოეწყო აგრეთვე დროშა... სარანის მაზრის გლეხებისა.

არასოდეს არ დამავიწყდება ის წუთები, როდესაც წითელ მოედანზე შეკრებილი ხალხი ქუდმოხდილი 25 გრადუსიან ყინვაში მღეროდა „თქვენ მსხვერპლი გახდით". არასოდეს არ დამავიწყდება გაშეშებული მრავალრიცხოვანი ხალხი, როცა ილიჩის კუბოს აკლდამაში მიასვენებდენ. არასოდეს არ დამავიწყდება ყველა მახლობელ-ნათესავების გულისცემა. არასოდეს, არასოდეს არ დამავიწყდება ეს წუთები.

რატომღაც მაგონდება ის საღამო, როცა ლენინი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან პეტროგრადში. ღამით ფინეთის სადგურზე შეხვედრა, ათეული ათასი მუშები და ჯარისკაცები. ეხლა—ეხლა კი მილიონები. მაშინ—დიდი ბრძოლების მოლოდინი, ეხლა—დასრულებული ბრძოლები და დასვენება გადამწყვეტ ბრძოლის შემდეგ. დღეს—მთელი ხალხის, ყველა ხალხების ნდობა.

მოკვდა ლენინი. ქვასავით, ლოდივით აწვება ეს სიკვდილი ყოველ ჩვენგანის გულს. არაადამიანურად მძიმეა. არავის არასოდეს არ განუცდია ასეთი საშინელი წუთები. მაგრამ მაინც, ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ლენინიზმი არა თუ ცოცხალია, არამედ მისი გაფურჩქვნა ეს არის ეხლა იწყება. დიახ, ეს ასეა უსათუოდ, ლენინის იდეების ნამდვილი გამარჯვება ევროპასა, ამერიკაში, აღმოსავლეთში, მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ წინ არის.

რომელ ჩვენგანს დაავიწყდება ეს ექვსი დღე—უძილო, მშფოთარე, მაგრამ შემაძრწუნებელი—ლამაზი დღეები? დღე, დაგვისახელონ ჩვენ მეორე სახელი კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც გამოეწვიოს ასეთი აჩქარებული გულისცემა მთელ მსოფლიოს მილიონიან და ათეულ მილიონიან ადამიანებ შორის.

ამ ექვსმა დღემ ერთგვარი ხაზი გაავლო ილიჩის სიკვდილამდე არსებულ რუსეთსა და მისი სიკვდილის შემდეგი დროის რუსეთს შორის. რუსეთმა განახლებულად იგრძნო თავისი თავი. დღემდის, ლენინის ავადმყოფობის დროს, იგი ფიქრობდა, რომ ილიჩს „...დღესაც მიჰყავს რუსეთი დამბლა დაცემულ ხელით".

ეხლა მან იგრძნო, რომ ჩვენ დავრჩით ჩვენი თავის ამარად, რომ ჩვენ ვაბიჯებთ რაღაც ახალ საზღვარს. რუსეთმა შეხედა თავის თავს და დაინახა, რომ იგი ახალია, რომ იგი განახლდა იმიტომ, რომ ლენინმა მას მისცა საუკეთესო, რაც მას ჰქონდა. ღრმად ჩაფიქრდა ქვეყანა თავის საკუთარ ბედზე. და მოიწმინდა რა ცრემლი თავის გენიალურ ბელადის დაკრძალვის შემდეგ, მტკიცე ნაბიჯით, სიამაყით წავა იმ გზით, რომლითაც მიჰყავდა იგი ლენინს.

მით უმეტეს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ილიჩის სიკვდილის შემდეგ იწყება ახალი ხანა. ჩვენი პარტია განსაკუთრებით ღრმად ჩაუფიქრდება თავის მომავალ ბედს. განუზომელად მძიმეა, სრულიად აუნაზღაურებელია დანაკარგი. დიდი ქვეყნის ცხოვრების, კომინტერნის ბრძოლის, პარტიის მუშაობის ხელმძღვანელობა **ილიჩის გარეშე**—როგორი გიგანტური მსოფლიო—ისტორიული პასუხისმგებლობაა! ჩვენი პარტიის 400 ათას წევრიდან თვითეული ჩვენგანი, დღეს ილიჩის სიკვდილის შემდეგ, უნდა გახდეს უფრო უკეთესი, უფრო ღრმა, უფრო წმინდა, უფრო მამაცი, უფრო ფრთხილი, უფრო მტკიცე.

ყოველი, ვინც ერთხელ მაინც ნახა ილიჩი სიცოცხლეში, თავის უკანასკნელ დღემდის ჩაისახავს თავის გულში ამ სახეს.

...Портретов Ленина не видно,
Похожих не было и нет.
Века уж дорисуют, видно,
Недорисованный портрет...".

რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა მოგველოდეს ჩვენ, ლენინის სახე ყოველთვის გაუნათებს გზას მთელი მსოფლიოს მშრომელებს და გაყვლეფილებს.

შევამჭიდროოთ ლენინის პარტიის რიგები. მსოფლიოს არ უნახავს ჯერ არმია, ბრძოლისათვის ისე მომზადებული და გამარჯვების ღირსი, როგორიც არის ჩვენი არმია.

მშვიდობით, ილიჩ!

მშვიდობით, ლენინ! მთელ ქვეყანაში, მთელ სამყაროში გაისმის, ეს გამოსათხოვარი მისალმება ბელადისა და მასწავლებლისადმი.

შეუდექით მუშაობას! როგორც გვასწავლიდა ჩვენ ილიჩი:

ლენინი მოკვდა—ლენინიზმი ცოცხლობს. სცოცხლობს ჩვენ დიდ პარტიაში, კომინტერნში, მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ მოძრაობაში. როცა პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, ეს იქნება უწინარეს ყოვლისა ლენინიზმის გამარჯვება...

გ. ზინოვიევი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

იტალია

რომი. 5 თებ. სტეფანის სააგენტოს თანამშრომელმა საბჭოთა დელეგაციას მიმართა თხოვნით, რომ ამ უკანასკნელს განმარტება მიეცემა იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც გამოიწვია რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დაგვიანება. დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ დოკუმენტები, რომლებიც ხელშეკრულებას შეეხებიან, მოითხოვა მოსკოვმა, სადაც სურთ გაეცნონ მათ, სანამ ისინი ხელმოწერილი იქნებიან. განსაკუთრებული კურიერი დოკუმენტების ასლებით, რომლებიც მოწონებულია ორივე მხარის მიერ, უკვე გაემგზავრა მოსკოვში გუშინ საღამოს.

რომი. 5 თებ. „ჩიკაგო ტრიბიუნ"-ის რომის კორესპონდენტი სწერს: „სანამ მოხდებოდა საბჭოთა მთავრობის საბოლოო ცნობა მუსოლინიმ ასწონ-დასწონა ყველა ის შენიშვნები, რომლებიც მოყვანილია იუზის დეკლარაციაში ამ საკითხის შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ მუსოლინის უკანასკნელ სიტყვას და მის განცხადებას ამ საკითხის შესახებ, არ შეიძლება დაუშვათ, რომ მუსოლინი წინააღმდეგი იყოს საბჭოთა მთავრობის ცნობის. მუსოლინი მაკდონალდი არ არის. ის სიმპატიებით არ ეპყრობა სოციალიზმს და კომუნიზმს. მისი მოქმედება ეყრდნობა მხოლოდ სარგებლობას, რომელიც შეუძლია მიიღოს იტალიამ საბჭოთა რუსეთის ცნობისაგან. მისი საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპია, რაც შეიძლება მეტი უცხო ბაზარი მოუპოვოს იტალიის მრეწველობას".

ბელგია.

ბერლინი. 5 თებერვალი. ბელგია-ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ნორვეგია.

უცდიან ინგლისს.

ქრისტიანია. 3 თებერვალი. ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის გამო, **შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში თათბირის შემდეგ, გაიმართა მთავრობის სხდომა ნორვეგიის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხის განსახილველად.** ამბობენ, რომ ნორვეგიის მთავრობას განზრახული აქვს მოკლე ხანში გამოიმუშაოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი.

პრესა ცნობის შესახებ ინგლისში

რას სწერს.

ლონდონი. 4 თებერვალი. „დეილი ნიუსი" ცნობას ნოტის შესახებ კმაყოფილებით შეხვდა და აღნიშნავს, რომ ეს არის ახალი მთავრობის პირველი აქტიური ნაბიჯი და ნიშნავს ბოლოს მოღებას რუსეთის განცალკევების უგნური პოლიტიკისათვის.

„ვესტმინსტერ გაზეტ" აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის ნაბიჯი მოწონებულია ყველა ლიბერალების მიერ. გაზეთი შენიშნავს, რომ „მაკდონალდმა ბრძნულად აიღო პირდაპირი კურსი როცა გადასდო ყველა საკითხების განხილვა შემდეგისათვის, მათი განხილვა პირველ რიგში—ეს ნიშნავდა გადაწყვეტილების გადადებას. ცნობას მოყვება რუსეთისათვის მატერიალური დახმარების მიცემა. ამ მოქმედების კეთილი შედეგები გავლენას მოახდენენ მთელს ევროპაში ვაჭრობის გაუმჯობესებასა, უმუშევრობის შემცირებასა და მშვიდობიანობისათვის სერიოზულ მუქარის თავიდან აცილებაზე. მაკდონალდი მადლობის ღირსია არა მარტო იმისათვის, რაც მან გააკეთა, არამედ იმისთვისაც, თუ როგორი სახით იყო გატარებული ეს ცნობა".

„დეილი ჰერალდ"-ი აღნიშნავს, რომ ცნობა დიდიხნის წინეთ უნდა მომხდარიყო. გაზეთი სწერს: 10 დღის შემდეგ ძალაუფლების მიღებიდან, პრემიერმა თავისი აქტით, რომელიც გამოიხატა დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენაში რუსეთთან, გამოასწორა დიდი ზარალი. ბრიტანეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა; დანგრეულია ერთი ბარიერთაგანი, რომელიც ხელს უშლიდა ევროპის აღდგენას და ხალხთა მეგობრულ ცხოვრებას".

„დეილი ქრონიკლ"-ი ამბობს, რომ რუსეთის ცნობაზე უარის თქმა იქნებოდა ფაქტებისათვის ანგარიშის არ გაწევა. მაკდონალდი მართალია, როცა იცავს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას".

„დეილი ექსპრესი"-ს აზრით „პრემიერმა მიიღო ბრძნული გადაწყვეტილება. ბრიტანეთს არა აქვს შეკრული ხელები და მისი ინტერესები არ არის დარღვეული".

საჩუქარი-სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობას.

ლონდონი. 4 თებერვალი. ინგლისის პრესა გაცხოველებით იხილავს საკითხს, თუ ვინ იქნება საბჭოთა კავშირის საქმეთა პირველი რწმუნებული ინგლისში. რაკოვსკიმ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ცნობა არის საჩუქარი სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობისათვის და ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ შორსმჭვრეტელობას, რომლითაც ლენინი აწარმოებდა შინაურ და საგარეო პოლიტიკას.

„ტაიმსის" აზრი.

ლონდონი. 4 თებერვალი. „ტაიმსი" ფიქრობს, რომ ნოტა არის საბჭოთა კავშირის დე-იურედ ცნობა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მეგობრულ ურთიერთობის განახლებას. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ბოლშევიკებმა არ გამოიმუშავეს კრედიტის პირობები და რომ მაკდონალდი თავის ნოტაში არაფერს ამბობს ფინანსიურ საკითხის შესახებ.

ბრძნული გზა.

ლონდონი. 4 თებერვალი. გაზ. „დეილი ექსპრესი" სწერს: „მაკდონალდმა **აირჩია ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწის ბრძნული გზა.** თუ საბჭოთა კავშირს სურს მიაღწიოს ყველა უპირატესობას, რომელიც ცნობიდან გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა უნდა წარმოადგინონ საღი მოსაზრებანი **ახალ** ხელშეკრულების დადების დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ხელშეკრულებაც მოაწესრიგებს ვალების საკითხს და იქნება გარანტია ორივე ქვეყნის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისათვის.

გზა გაკაფულია.

ლონდონი. 4 თებერვალი. „დეილი ხრონიკლი“ სწერს: „**ჩვენ დიდი ხანია ვიცავდით იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობაზე უარის თქმა არის დამარწმუნებელ ლოღიკის უყურადღებოდ დატოვება.** ჩვენ არ მოგვწონს მთავრობის ის სისტემა, რომელნიც ბოლშევიკებმა შემოიღეს კომუნიზმის სახით, თუმცა უკანასკნელ წელს ეს სისტემა ძალიან გაუმჯობესდა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ საბჭოთა კავშირის შინაური საქმეები ეხებიან მხოლოდ რუსებს. ცნობა სრულიადაც არ სპობს იმ უთანხმოებას, რომელიც არსებობს მოსკოვსა და ლონდონს შორის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეხლა გზა გაკაფულია უშუალო მოლაპარაკებისათვის.

პირველი დიდი ნაბიჯი.

ლონდონი. 4 თებერვალი. „დეილი ნიუზი“ სთვლის ცნობას „ახალი მთავრობის პირველ დიდ ნაბიჯად“.

გაკვეთილი ინგლისს.

ლონდონი. 4 თებერვალი, „ვესტმინსტერ გაზეტი“ სწერს: „**ცნობა მოწონებული იქნება ყველა ლიბერალების მიერ, ვინაიდან ევროპის ყველა ერები ერთმანეთს გაუსწრებენ, რათა ასეთივე შეთანხმებას მიაღწიონ საბჭოთა კავშირთან.** რუსეთის რევოლიუციამდე არსებული ხელშეკრულებანი ავტომატიურად შევლენ ძალაში საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ცნობა ანგარიშს უწევს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის ბუნებრივი სიმდიდრენი ესაჭიროება მთელ მსოფლიოს, ამავე დროს ცნობის მიზანია დახმარება გაუწიოს საბჭოთა კავშირს, რათა მან შესძლოს მოღონიერება.

„მანჩესტერ გარდიენი“.

ლონდონი. 4 თებერვალი. „მანჩესტერ გარდიენი“ მოითხოვს მეფის მთავრობის მოხელეების ჩამოშორებას. „ამიერიდან ჩვენ აღარ დავინახავთ მეფის მოხელეებს, რომლებიც ცხადდებოდენ ოფიციალურ მიღების დროს თითქოს მათ ჰქონდათ დავალება რუსეთის მთავრობისა“, ამბობს გაზეთი. შემდეგ ნათქვამია, რომ ოდგრედი იქნება ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში, ხოლო რაკოვსკი დარჩება საქმეთა რწმუნებულად ლონდონში რუსეთის ელჩის დანიშვნამდე.

თავის მოწინავე წერილში გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის ძველად დადებული ხელშეკრულებები ავტომატიურად იქნებიან განახლებულნი და მათში შეტანილი იქნება ცვლილება საბჭოთა კავშირის დღევანდელ მდგომარეობასთან შეფარდებით მოლაპარაკების დროს. ბოლოს გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთის კრედიტის აღდგენა მოითხოვს შეთანხმებას, რომელიც ეგუება საშუალო ინგლისის სურვილს და გაგებას. შეთანხმებამ თავიდან უნდა მოიშოროს ის სიძნელენი, რომლის შესახებ განაცხადა მაკდონალდმა თავის ნოტაში.

საერთაშორისო მუშათა კლასის ზეიმი

ლონდონი. 4 თებერვალი. „დეილი ჰერალდი“ სწერს: „**ცნობა არის საერთაშორისო მუშათა კლასის ზეიმი.** კრასინის და რაკოვსკის მუშაობამ, რომელიც მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, დაამტკიცა, რომ შესაძლებელია პრაქტიკული დიპლომატიის შეერთება მუშათა კლასის პრინციპების გატარებასთან. ეს არის კარგი ნიშანი იმისათვის, რომ მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობა დამყარდება საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მთავრობასა და ინგლისის მუშათა მთავრობას შორის. გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის მთელი მუშათა მოძრაობა უნდა უმადლოდეს კომიტეტს „ხელები შორს რუსეთიდან“, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ცნობისათვის“.

ცნობის გამოძახილი.

საფრანგეთი.

ძლიერი შთაბეჭდილება.

პარიზი. 4 თებ. ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე. საფრანგეთის გაზეთების გამოძახილში აღნიშნულია ის შეშფოთება, რომელიც სურთ დაფარონ გაზეთებმა მტკიცებით, რომ ცნობა არის მხოლოდ ფორმალური აქტი.

საფრანგეთში.

შეუზღუდავი აღიარება.

ლონდონი. 3 თებერვალი. „ტან“-ი, ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო, სწერს: „თუ ინგლისი მოახერხებს იმას, რომ მოსკოვი აანაზღაურებს ინგლისის ქვეშევრდომთა ზარალს, მაშინ საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება ასეთივე უპირატესობა მიანიჭოს საფრანგეთსაც. თუ ინგლისი დათანხმდება ვალების გაუქმებაზე, მაშინ ინგლისის მთავრობამ უნდა შეამსუბუქოს საფრანგეთის ვალდებულებები ვალების გადახდის საქმეში. **დიდი ბედნიერება იქნება მთელი ევროპისათვის, თუ ინგლისი დაეხმარება საბჭოთა კავშირს ეკონომიური აღორძინების საქმეში**“. „ტან“-ი უარს ამბობს ასე ადვილად იმსჯელოს საკითხზე საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ, რადგან ამ პოლიტიკის გაგება „მეტად ძნელია“, მაგრამ მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის ჩაურევლად ამ საქმეში.

ამერიკაში

ვერ შესძლეს უკმაყოფილების დაფარვა.

ნიუ-იორკი. 3 თებერვალი. იმ დროს, როდესაც ამერიკაში მიიღეს ცნობა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ ინგლისის მიერ, სახელმწიფო დეპარტამენტში უარი განაცხადეს პასუხი გაეცათ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე ცნობის „შეუმოწმებლობის“ შესახებ. მაგრამ, ცნობის დადასტურების შემდეგ, სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ინგლისის მთავრობის აქტი სრულებით არ არის გასაკვირველი, მაგრამ ამერიკის პოლიტიკა შეურყეველი დარჩება იმ დრომდი, სანამ საბჭოთა კავშირი არ შესცვლის თავის პოლიტიკას ვალების და პროპაგანდის საკითხში.

გერმანიაში

პოლიტიკური წრეების შიში.

ბერლინი 3 თებერვალი. **გერმანიის პოლიტიკური წრეები ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობაში ხედავენ გერმანიის პოლიტიკის გამართლებას** (რაპალოს ხელშეკრულება), მაგრამ გამოსთქვამენ შიშს, რომ ცნობა შეასუსტებს გერმანიის ეკონომიურ პოზიციებს საბჭოთა კავშირის მიმართ.

პრესის აზრი.

ბერლინი. 3 თებერვალი. **პრესის აზრით, ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობა ხელსაყრელია ინგლისისათვის და ხაზს უსვამს, რომ ცნობის საკითხში ინგლისმა დაასწრო იტალიას და საფრანგეთს, რაც ხელს შეუშლის საფრანგეთ-ჩეხიის დაახლოებას.**

რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი.

ბერლინი. 3 თებერვალი. „დოიჩე ტაგეს ცაიტუნგ“ **ესალმება საბჭოთა მთავრობის ცნობას.** გაზეთის აზრით, ეს ცნობა ხელს შეუშლის საფრანგეთ-რუსეთის თანამშრომლობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ცდილობდა მოეგვარებია რუსეთთან თანამშრომლობა, რომ შეესუსტებია ინგლისის გავლენა აღმოსავლეთში.

გერმანიის მუშები განაგრძობენ ბრძოლას

გაფიცვების ტალღა: გრძელდება მუშების ბრძოლა სამუშაო დღის გახანგრძლივების წინააღმდეგ. ლეიპციგში გაფიცულნი არიან მელითონეები, რეინის ვესტფალიაში გაფიცვები გრძელდება.

საერთო მდგომარეობა: მთავრობამ გადასწყვიტა მოახდინოს რკინის გზების, ფოსტის და ტელეგრაფის დენაციონალიზაცია.

გერმანია და ანტანტა: გერმანიის რკინის გზების სამმართველომ უარჰყო საფრანგეთის რკინის გზების მოთხოვნილება 4 ათასი საბარგო ვაგონის მიცემის შესახებ.

გაფიცვების ტალღა

იძულებით სამუშაოზე უარის თქმა.

ბერლინი. 3 თებერვალი. **იენაში, გრეიცში, დრეზდენში, ცვიკაუში, ხემნიცში, გოგენშტეინში, მორზებურგში, ბრემენში და სხვა ქალაქებში უმუშევრები უარს ამბობენ იძულებით მუშაობაზე** და მართავენ დემონსტრაციებს. ფიურსტენგოფში პოლიციის მიერ დემონსტრაციის დროს, დახვრეტილ უმუშევართა წინამძღოლის შტეინის დაკრძალვის დღეს, გაიმართა მასიური დემონსტრაცია.

შემთანხმებელ წინამძღოლთა წინააღმდეგ.

ბერლინი. 3 თებერვალი. ბერლინის ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის უმუშევართა კრებამ დაადგინა გადაყენებულ იქნას ბეჭდვითი საქმის მუშათა ბერლინის კავშირის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი და შეუერთდეს ვეიმარის კონფერენციის დადგენილებებს.

ლეიპციგის მელითონეთა გაფიცვა.

ბერლინი. 3 თებერვალი. ლეიპციგში მელითონეთა გაფიცვას შეუერთდა 17000 მუშა.

ბრძოლა გრძელდება

ბერლინი. 3 თებერვალი. **მუშების ბრძოლა სამუშაო დღის გახანგრძლივების წინააღმდეგ გრძელდება. საქსონიაში საფეიქრო მრეწველობაში ითხოვენ მუშებს.**

ლეიპციგში გაფიცული არიან მელითონეები.

რეინის ვესტფალიაში გაფიცვები გრძელდება.

ბრემენის სახელოსნოებში მუშები ძალით ატარებენ 8 საათის სამუშაო დღეს.

ჰამბურგის ოლქში რკინისგზელების 80 პროც. მხარს უჭერს გაფიცვის გამოცხადებას.

უმუშევართა პროცესი.

ბერლინი. 3 თებერვალი. ჰამბურგში, ფულდში და ბოხუმში დაიწყო ოქტომბრის დემონსტრაციის მონაწილე უმუშევრების გასამართლება.

ვისბადენი გაანთავისუფლეს სეპარატისტებმა.

ბერლინი. 3 თებერვალი. სეპარატისტებმა გაანთავისუფლეს ვისბადენი.

20 000 გადასახლებული მოქალაქე

ბერლინი. 3 თებერვალი. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გადაასახლა პფალციდან 20 000 მოქალაქე.

კამენევის დეკლარაციის სრული ტექსტი

ბერლინი 2 თებერვალი. გერმანიის პრესას მოჰყავს სრულად ამხ. კამენევის დეკლარაცია.

ხმები დინამიტის საწყობის შესახებ.

ბერლინი. 3 თებერვალი. მემარჯვენე პრესა ავრცელებს ხმებს გრეფინტალში დინამიტის საწყობის აღმოჩენის შესახებ, რომელიც ვითომ და კომუნისტებს ეკუთვნის.

გერმანია და ანტანტა

საფრანგეთის რკინის გზათა სამმართველოს მოთხოვნილების უარყოფა

ბერლინი, 3 თებერვალი. გერმანიის რკინის გზათა სამმართველომ უარჰყო საფრანგეთის რკინის გზათა სამმართველოს მოთხოვნილება 4000 საბარგო ვაგონის მიცემის შესახებ. პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთის რკინის გზათა სამმართველოს არ ძალუძს მოაწყოს ტრანსპორტი ნახშირის და აფერხებს წარმოებას დაკავებულ ოლქებში, რომ დიუსელდორფის შეთანხმების განხორციელება შეუძლებელი ხდება, რომ ოკუპაციის ხარჯების ანაზღაურებამ დაარღვია გერმანიის ბიუჯეტის წონასწორობა.

შეთანხმებული სამხედრო მოქმედების შეწყვეტა

ბერლინი. 3 თებერვალი. ბელგიის საოკუპაციო ჯარების რიცხვი რურში შემცირებული იქნება 7000 დან 4000-დე, ხოლო მთავარსარდლობა გადაეცემა დეგუტის მაგიერ ბელგიის გენერალს რეკიუს. ბელგიის ზონაში იქნებიან მხოლოდ ბელგიის გარნიზონები.

ამას უცქერიან, როგორც ბელგიის და საფრანგეთის საოკუპაციო სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტას.

საერთო მდგომარეობა

პირველი ნაბიჯი.

ბერლინი. 3 თებერვალი. **გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა მოახდინოს დენაციონალიზაცია რკინის გზებზე, ფოსტაზე და ტელეგრაფზე** და მიანიჭოს მათ დამოუკიდებელ იურიდიულ პირთა უფლებები, ამავე დროს მოუსპოს მთავრობის დოტაცია მთელს გერმანიას, გარდა ბავარიისა. ამას დიდი ხანია ცდილობდა მძიმე მრეწველობა. ეს არის პირველი ნაბიჯი სახელმწიფო წარმოებების კერძო პირების ხელში გადასაცემად.

კომინტერნის აღმასკომის მიმართვა საფრანგეთის კომპარტიის კონგრესისადმი

მოსკოვი. 4 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა საფრანგეთის კომპარტიის ლიონის კონგრესს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის რევოლიუციის გამარჯვება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, შესძლებს თუ არა საფრანგეთის პროლეტარიატი ალაგმოს საფრანგეთის იმპერიალიზმი. საფრანგეთის კომპარტიამ აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს გერმანიის პროლეტარიატს და გერმანიის რევოლიუციას. კომპარტია უნდა ილტვოდეს მუშურ-გლეხურ ბლოკის შექმნისაკენ მომავალ არჩევნებში და გაბედული ომი გამოუცხადოს როგორც ნაციონალურ, ისე მემარცხენე ბლოკს, რომელიც შესდგება უმთავრესად იმავე სოციალ-პოლიტიკურ ელემენტებისაგან, როგორც ნაციონალური ბლოკი.

პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მილიტარიზმთან ბრძოლას საფრანგეთში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო ომი. საფრანგეთის კომპარტიამ აგრეთვე უნდა აწარმოვოს აგიტაცია ფერად კანიან არმიის შორის, რომელიც მოწოდებულია საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ გერმანელ მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად. კომპარტიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მხოლოდ ის იბრძვის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობა

კამათი საკითხების გარშემო.

მარსელი. 3 თებერ. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე არჩევნების საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს მემარჯვენე სოციალისტმა ვარენმა განაცხადა, რომ რადიკალების საარჩევნო პროგრამა სავსებით მისაღებია სოციალისტებისათვის. ლონგემ სასტიკად გაილაშქრა მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგ. აღნიშნა რა სოციალისტური პარტიის სისუსტე, ბლიუმმა სთქვა, რომ საჭიროა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა დიუმულენმა განაცხადა, რომ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა გამოწვეულია საფრანგეთის პროლეტარიატის სურვილით, რომელიც ამაში ხედავს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყრილობა ტაშით მიესალმა დიუმულენის განცხადებას, ყრილობის უმრავლესობამ გაილაშქრა მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობას და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ.

მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს სოციალისტურ პარტიის შეთანხმებას სხვა პარტიებთან ეროვნულ ბლოკთან საბრძოლველად. ყრილობამ უარყო კომუნისტების წინადადება ყველგან მუშათა ბლოკის შექმნის შესახებ და დასაშვებად ჩასთვალა ადგილობრივი შეთანხმება კომუნისტებთან.

სხვადასხვა

პოლონეთი.

მოწოდება პროფკავშირებისადმი.

ვარშავა. 3 თებერვალი. კლასობრივ პროფკავშირების ცენტრალური კომისია მოუწოდებს ყველა პროფკავშირებს დაიწყონ ენერგიული ბრძოლა კაპიტალისტების ცდის წინააღმდეგ შეამცირონ ხელფასი. მოწოდება მოითხოვს უმუშევართა უზრუნველყოფას მთავრობის და ფაბრიკანტების ხარჯზე.

საფრანგეთი

ინტერესი ამხ. კამენევის დეკლარაციისადმი.

პარიზი. 3 თებერვალი. ყველა გაზეთები ბეჭდავენ უკომენტარიოთ ამხ. კამენევის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა საკავშირო ყრილობაზე. გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ვერსალის ხელშეკრულებაზე, საბჭოთა კავშირის და გერმანიის ურთიერთობაზე, ურთიერთობაზე საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის; **გაზეთები ათავსებენ აგრეთვე კამენევის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთთან.**

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაყიდვა ნისიად.

უფა. 5 თებერვალი. ბაშკირეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აძლევს გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს გრძელვადიან კრედიტით; მანქანების ფასის გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ 5 წლის განმავლობაში.

მასებთან დაახლოვება.

სტავროპოლი. 5 თებერვალი. მასებთან დაახლოვების მიზნით, სტავროპოლის სამაზრო აღმასკომმა სოფ. მოსკოვსკოიეში ჩაატარა აღმასკომის გაფართოვებული პლენუმი, რამაც დიდი თანაგრძნობა ჰპოვა გლეხებში.

არაჩვეულებრივი ყინვები.

დონის როსტოვი. 5 თებერვალი. როსტოვში არაჩვეულებრივი ყინვებია, რომელიც აღწევს 26 გრად.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის 200 წლის თავი.

ლენინგრადი, 4 თებერვალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებაზე, რომელიც გამართული იყო აკადემიის დაარსებიდან 200 წლის თავის შესრულების გამო, აკადემიის მდივანმა ამხ. ოლდენბურგმა აღნიშნა, რომ 8 წლის წინათ მეცნიერებათა აკადემიამ მიმართა მთავრობას მოხსენებითი ბარათით რუსეთის აკადემიის და რუსეთის მეცნიერთა მძიმე მდგომარეობის შესახებ. ამხ. ლენინმა მაშინ პირადი მონაწილეობა მიიღო მეცნიერებისა და მეცნიერთათვის დახმარების გაწევის საქმეში. ის, მიუხედავათ მუშაობით დატვირთვისა, მაინც ახერხებდა, ეშოვნა დრო მეცნიერებაზე ზრუნვისათვის. „ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებული ვართ სთქვა ამხ. ოლდენბურგმა, რომ მთავრობა ისეთივე დახმარებას და თანაგრძნობას გაუწევს მეცნიერებათა აკადემიას, როგორსაც უწევდა მას ამხ. ლენინი“ კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა ამხ. ლენინის ხსოვნას.

რევოლიუციის ვეტერანის გარდაცვალება.

ლენინგრადი. 4 თებერვალი. ლენინგრადში გარდაიცვალა რევოლიუციის ვეტერანი ამხ. ტიუტჩევი, რომელმაც დაიწყო რევოლიუციონური მოღვაწეობა პარტია „მიწა და თავისუფლება“-ში, 1874 წ.

სასურსათო კრიზისი გადაწყვეტილია.

მოსკოვი. 4 თებერვალი. დონის აუზის მუშათა მოსახლეობისათვის პურის მიწოდების მიზნით, „ხლებოპროდუქტმა“ „დონის ნახშირთან“ დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც „ხლებოპროდუქტი“ სოფლებში ხსნის მაღაროების მუშებისათვის დუქნებს, სადაც გაყიდიან პირველ მოთხოვნილების საგნებს. ამის გამო ნახშირის რაიონში სასურსათო კრიზისი გადაწყვეტილია. „ხლებოპროდუქტის“ დუქნებში პროდუქტების ფასი 50 პროც. ნაკლები იქნება საბაზრო ფასებზე.

პოლიტიკურ ემიგრანტების მიტინგი.

მოსკოვი 5 თებერვალი. **პოლიტიკურ ემიგრანტების მრავალრიცხოვან მიტინგზე ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ერთად ერთი თავშესაფარია ყველა ქვეყნის რევოლიუციონერებისათვის.** მიტინგი დამთავრდა რევოლიუციონური სიმღერებით სხვადასხვა ენებზე.

გენერალ პეპელიაევის საქმე.

ჩიტა. 5 თებერვალი. პეპელიაევს და 20 მის თანამებრძოლს მიუსაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა, 45 ბრალდებულს 10 წლის ციხე, 11 ს 5 წლის და ერთს 5 წლის ციხე პირობით.

სამი მიზეზი

ამხ. რადეკის წერილი

მოსკოვი. 3 თებერვალი. ამხ. რადეკი, „პრავდა“-ში მოთავსებულ წერილში, ინგლისის მუშათა მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო, სწერს, რომ ამ გადახრას ევროპის ყველაზე უფრო კაპიტალისტურ სახელმწიფოს პოლიტიკაში აქვს სამი მიზეზი.

„**პირველი**—ეს არის ძალა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც იგრძნო პირველად ინგლისმა აშკარა ინტერვენციის დამარცხების დროს. ინგლისის იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის პირველი სტრიქონები შეტანილი იყო ისტორიის ოქმების წიგნში წითელი არმიის ხიშტებით. ამის შემდეგ გენუას კონფერენციაზე, სარგებლობდა რა მოუსავლობით გამოწვეულ შიმშილით, ინგლისის იმპერიალიზმი თავაზობდა საბჭოთა მთავრობას ცნობას იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა ოქტომბრის რევოლიუციის ყველა ეკონომიურ მონაპოვარებზე, ვინაიდან, თუ საბჭოთა მთავრობა მიიღებდა ლოიდ-ჯორჯის მიერ გენუაში წარდგენილ პირობებს, მას, ძველი ვალების გადახდის და ანაზღაურების გარდა, უნდა გაებრუნებია უცხოეთის კაპიტალისტებისათვის არა მარტო ის რაც მათ რუსეთში ჰქონდათ რევოლიუციამდე, არამედ ამას უნდა დამატებოდა ქვეყნის უდიდესი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი სახალხო სიმდიდრეების ექსპლოატაცია. საბჭოთა მთავრობამ უარყო ინგლისის იმპერიალიზმის წინადადება. მოსავალმა, სასოფლო მეურნეობის განვითარებამ, მრეწველობის აღორძინებამ, იმ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების დაშლამ, რომლებიც ცდილობდნენ წვრილბურჟუაზიულ სტიქიაზე დამყარებას, რუსეთის კომპარტიის გაძლიერებამ და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ წაართვეს ინგლისის იმპერიალიზმს გამარჯვების იმედი. ინგლისის მუშათა მთავრობას სისრულეში მოჰყავს დღეს მხოლოდ ის, რაც აუცილებლად ჩასთვალეს ინგლისის ლიბერალურ და კონსერვატიულ ბურჟუაზიის ყველაზე გონივრულმა წარმომადგენლებმა.

მეორე მიზეზი—ეს არის საერთაშორისო ბურჟუაზიის ბანაკის დაშლა. ინტერვენციის იდეას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საფუძვლად ჰქონდა ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მტკიცე ერთიანი ბლოკის შექმნა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ; ეს წინასწარი პირობა შემდეგ განხორციელებულ იქნა ვილსონის იდეაში ერთა ლიგის შესახებ, რომელიც მკვდრად დაბადებული აღმოჩნდა. რადგან მასში არ შევიდა ამერიკა. ამერიკის არ ყოფნას ერთა ლიგაში თან ახლავს ამერიკის კაპიტალიზმის ბრძოლა ევროპიულ და შორეულ აღმოსავლეთის კაპიტალთან.

ერთა ლიგაში სწარმოებს გაფთრებული ბრძოლა ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის შორის ევროპის კონტინენტზე უპირატესობის მოპოვებისათვის. თვითეულმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმაზე, როგორ დასძლიოს საერთაშორისო ეკონომიური კრიზისი და გამონახოს მოკავშირეები მომავალ ბრძოლისათვის. სწორედ ამან აიძულა არა მარტო პუანკარე განეახლებია ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან, არამედ მუსოლინიც დასთანხმებულიყო საბჭოთა რუსეთის ცნობაზე. ინგლისმა დაასწრო საფრანგეთსაც და იტალიასაც. ის, რასაც აკეთებს ინგლისის მუშათა მთავრობა, არის ინგლისის ბურჟუაზიულ პარტიების პოლიტიკის სისრულეში მოყვანა. საბჭოთა რუსეთთან დაახლოვება არის ინგლისის ბურჟუაზიისათვის საშუალება ბრძოლისა ნედლი მასალის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომლის შემწეობითაც ამერიკის ბურჟუაზია ეზიდება ოქროს ინგლისიდან და ამავე დროს თავის საბაჟო პოლიტიკით აფერხებს ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებების კონკურენციას ამერიკის ბაზარზე. საბჭოთა მთავრობის ცნობამ უნდა გაუხსნას გზა ძალთა კოორდინაციის შექმნას საფრანგეთის წინააღმდეგ.

მესამე მიზეზი—ეს არის განხეთქილება ინგლისის ბურჟუაზიაში და მუშათა პარტიის გამარჯვება. ინგლისის ბურჟუაზია გაყოფილია ორ ბანაკად: ლიბერალურ და კონსერვატიულად, რაც არ ეთანხმება ინგლისის გაბატონებულ კლასის ძველ დაყოფას მემამულეებსა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიაზე. ეს განხეთქილება არის შედეგი იმისა, რომ მრავალჯგუფებად დაყოფილ ინგლისის ბურჟუაზიას, რომელიც ემსახურება თავის სეპარატიულ ინტერესებს, არ ძალუძს შეათანხმოს თავისი პოლიტიკა. ომით გამოწვეული უდიდესი სიძნელენი—საერთაშორისო ვალები, ეკონომიური ქაოსი, უმუშევრობა, მუშათა მოძრაობის ზრდა, კოლონიალურ მღელვარების ზრდა ქმნიან ინგლისის ბურჟუაზიაში განხეთქილებას, აზრთა სხვადასხვაობას, მერყეობას. ამის წყალობით ხელისუფლებას სათავეში მოექცა მუშათა პარტია, რომელსაც მისდევს მცხოვრებთა მხოლოდ ერთი მესამედი. ინგლისის მუშათა პარტიას ეშინია რევოლიუციის და სურს გადაარჩინოს კაპიტალიზმი. საბჭოთა ხელისუფლების ცნობა არის არა უმუშევრობასთან, არამედ იმ საფრთხესთან ბრძოლის საშუალება, რომელიც ინგლისს მოელის საფრანგეთის მხრივ. იმაში, რომ რამზაი მაკდონალდი იძულებული იყო ასე ჩქარა განეხორციელებია თავისი დაპირება—საბჭოთა კავშირის ცნობა,—უდიდესი დამსახურება მიუძღვისთ ინგლისის მუშებს. იყო განზრახვა გაეჭიანურებიათ საქმე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა მუშების ზეგავლენის გამო. ინგლისის მუშები, რომლებიც ჯერ კიდევ კომუნისტები არ არიან, ხედავენ საბჭოთა რუსეთში მუშათა პირველ სახელმწიფოს და სურთ დახმარება გაუწიონ მას. ამიტომ მაკდონალდი, კომუნიზმის მტერი, იძულებული იყო ხელისუფლების სათავეში ჩადგომის და მეფესთან პირველი ვიზიტის შემდეგ გაეგზავნა სადარბაზო ბარათი და ცნობა საბჭოთა მთავრობისათვის.

საბჭოთა კავშირის ცნობას ევროპის ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოს მიერ აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი ცდა, მიეღოთ ჩვენგან მატერიალური დათმობები, უშედეგოთ დამთავრდა. ჩვენ გვცნობენ, ვინაიდან დარწმუნდენ, რომ ჩვენ არა თუ ვარსებობთ, არამედ ვიარსებებთ მომავალშიაც. სხვა ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთ მატერიალურ სარგებლობის პირობებში. ინგლისის ცნობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი წინასწარ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს დანარჩენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის. ვინც დაიგვიანებს, ის მხოლოდ წააგებს.

ცნობას მნიშვნელობა აქვს იმ მომენტისათვის, რომელშიაც ეს მოხდა. საბჭოთა კავშირის ყველა მტრები სპეკულიაციას სწევდენ იმით, რომ ლენინის გარდაცვალება დაასუსტებს საბჭოთა რუსეთს. ინგლისის მთავრობა, რომელმაც სავაჭრო ხელშეკრულება დასდო ჩვენთან კრონშტადტის ამბების დროს, სცნობს საბჭოთა მთავრობას ლენინის გარდაცვალების მომენტში.“

რუსეთის გემის გაჩხრეკა

დაწვრილებითი ცნობები.

ტოკიო. 4 თებ. რუსეთის გემზე, რომელიც მივიდა სურატში იაპონიის პრინცის დაქორწინების წინა დღით 5 საათის განმავლობაში სწარმოებდა ჩხრეკა პოლიციის უფროსის, გუბერნატორის წარმომადგენლისა და ჟანდარმერიის მიერ. კომანდის დათვალიერება ხდებოდა საიდუმლო განყოფილების ფოტოგრაფიებით.

აგრეთვე ამ გემმა და რუსეთის მეორე გემმა, რომელიც იდგა ნავთსადგურში, მიიღეს ბრძანება აეწიათ დროშები და სოლიუტი მოეხდინათ პრინცის დაქორწინების გამო. გემებზე ამ დროს ჩამოშვებული იყო სამგლოვიარო დროშები ლენინის გარდაცვალების გამო. გემების მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე დაადგინეს არ აეწიათ დროშები. მიუხედავად იაპონიის პოლიციის კატეგორიული მოთხოვნისა, სამგლოვიარო დროშები არ ყოფილა მოხსნილი.

საკავშირო საბჭოთა ყრილობა

სამანდატო კომისიის მოხსენება.

მოსკოვი. 4 თებერვალი. მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს გადამწყვეტი ხმით 1500 დეპუტატი და სათათბირო ხმით 584. გადამწყვეტი ხმით კომუნისტები შეადგენენ 90 პროცენტს და უპარტიოები 10 პროცენტს. ქალები შეადგენენ 3 პროცენტს. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს მანდატებს.

სხვა და სხვა საკითხები.

ყრილობა ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენების გამო.

ამხ. ლიტვინოვის მოხსენების შემდეგ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, სერპუხოვის მუშებმა გადასცეს ყრილობას ამხ. ლენინის სურათი, მოქარგული ტილოზე, რომელიც შედგენილია 75 წლის მოხუცი ტერეშჩინის მიერ, რომელიც მუშაობს ფაბრიკაში 40 წლის განმავლობაში. ტერეშჩინი მგრძნობიარე სიტყვით ესალმება ყრილობას.

ამხ. კალინინი ყრილობის სახელით ღებულობს საჩუქარს, მადლობას უხდის სერპუხოვის მანუფაქტურის მუშების ხელოვნებისა და აგრეთვე იმ სიყვარულისათვის, რომელიც გამოიჩინეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მიმართ.

საკავშირო ცაკის შექმნის შესახებ მოხსენებაში ამხ. ენუქიძე აღნიშნავს, რომ, თანახმად კონსტიტუციისა, საკავშირო ცაკი შესდგება საკავშირო საბჭოსა და აგრეთვე ეროვნებათა საბჭოსაგან. საკავშირო საბჭოს ირჩევს ყრილობა 414 კაცის შემადგენლობით, მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობასთან პროპორციონალურად. ამხ. ენუქიძე აქვეყნებს საკავშირო საბჭოს წევრების და კანდიდატების სიას, რომელიც შედგენილია საგანგებო კომისიის მიერ. სია მიღებულ იქნა ერთხმად.

ყრილობა ამტკიცებს ეროვნებათა საბჭოს წევრების სიას, რომელიც წამოყენებულ იქნა რესპუბლიკების და ოლქების მიერ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კალინინი მიმართავს ყრილობას: „საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო საბჭოთა სამეურნეო მშენებლობის მორიგი საქმიანი საკითხები. გვეგონა, რომ ეს ყრილობა იქნებოდა ჩვეულებრივი, მაგრამ ვლადიმერ ილიჩის სიკვდილმა ეს ყრილობა აიყვანა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის სიმაღლეზე, გამოიწვია მოძრაობა მუშების და გლეხების ფართე მასების, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მგლოვიარობაში ამ დანაკლისის გამო. ვლადიმერ ილიჩის სიკვდილი უნებლიეთ აიძულებს თვითეულ მუშას და გლეხს თვალი გადაავლოს იმ რევოლიუციონურ გზას, რომელიც გაიარა საბჭოთა რესპუბლიკამ. ეს გზა 6 წლის განმავლობაში მოფენილი იყო მრავალი მძიმე, ზოგჯერ მეტად დრამატიული მომენტებით, მაგრამ ჩვენს მიერ ყველა განვლილ მომენტებიდან, თითქმის, ყველაზე უფრო დრამატიული იყო საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის პირველი სხდომა. მაგრამ ვლადიმერ ილიჩის სიკვდილმა ოდნავადაც არ უნდა შეასუსტოს ჩვენი ენერგია, სიმხნევე და ბრძოლის სურვილი კომუნისტურ წესწყობილებისათვის, რომლის მოხაზულობა უკვე ნათლად გამოკვეთილია როგორც ცალკე პოლიტიკოსების, ისე მუშათა და გლეხთა ფართო მასების წინაშე. პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებული აქვს თვითეულ ცალკე მუშაკს, ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების გამო, გაცილებით უფრო გაიზარდა. თუ წინად ჩვენ გვყავდა ბელადი, რომელსაც ყოველ წუთში შეეძლო მოეტრიალებია საქმე თვითეულ გრადუსისაკენ, ამჟამად ჩვენ გვევალება ეს მოტრიალება მოვახდინოთ უფრო წინდახედულათ, რადგანაც ჩვენი მუშაობის სირთულე, ვლადიმერ ილიჩის სიკვდილის გამო, გაძლიერდა. ამჟამად თვითეული მუშის წინაშე სდგას საკითხი, არის თუ არა სწორად აღებული ჩვენი პოლიტიკის ხაზი, მოელის თუ არა საბჭოთა რესპუბლიკას საფრთხე. თუ რამდენად ძლიერია ეს საკითხის დასმა თვითეული მუშისა და გლეხისათვის ვლადიმერ ილიჩის სიკვდილთან დაკავშირებით, ეს სჩანს იქიდან, რომ ჩვენს პარტიას მოაწყდა აუარებელი უპარტიო მუშები ქარხნებიდან, სწორედ ლენინის სიკვდილის შემდეგ. უპარტიო მუშებმა და გლეხებმა სავსებით გაითვალისწინეს მომენტის მთელი სერიოზულობა, შეიგნეს, რომ თუ მათ სურთ დახმარების გაწევა და მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკების აღმშენებლობაში, ხელი შეუწყონ საბჭოთა რესპუბლიკების გადასვლას კომუნიზმში,—ისინი უნდა შევიდენ კომუნისტურ პარტიაში. მილიონიან უპარტიო მუშურ-გლეხურ მასების ამ გადაწყვეტილებამ გაბედულად და ფართოდ იჩინა თავი, [illegible] აყენებს ამჟამად თვითეულ პოლიტიკურ მუშაკს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას თავის მოქმედებისათვის. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი საბჭოთა რესპუბლიკისა და კომუნისტურ პარტიისათვის ამჟამად არის უდიდესი შეკავშირება და ერთსულოვნება. ჩვენი რკინისებური შეკავშირების წყალობით ჩვენ 6 წლის პერიოდის განმავლობაში შევსძელით მივაღწია ისეთი საკვირველი წარმატებისათვის, რომლისთვისაც არც ერთ პარტიას, მუშათა კლასის არც ერთ სექტორს მსოფლიოში ჯერ არ მიუღწევია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ 6 წლის შეკავშირებას ჩვენ არ დავანგრევთ, ის იქნება თავდები ჩვენი მომავალი გამარჯვების.

მეორე ამოცანა, რომელიც დასმულია ჩვენს წინაშე, მდგომარეობს იმაში, რომ გაუფრთხილდეთ მუშების და გლეხების კავშირს. ჩვენი პარტიის, თვითეული პროფკავშირის, განსაკუთრებით სამეურნეო მუშაკის, ყველა ადმინისტრატიული ორგანოების წინაშე სდგას ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანი—წარმოების ნაყოფიერების გაძლიერება, ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოების გაიაფება. ეს სამეურნეო ამოცანა ეხლა ღებულობს დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. თუ ჩვენ აქ ამ ამოცანებს გადავსჭრით დამაკმაყოფილებლად, ჩვენ არა თუ დავამტკიცებთ სოციალისტური წარმოების უპირატესობას, არამედ აგრეთვე სამუდამოდ განვამტკიცებთ კომუნიზმისათვის ასე აუცილებელ კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობის შორის. ყველაზე უძნელესი დაბრკოლებები ამ საკითხში უკვე გადალახულია საბჭოთა მთავრობის მიერ. ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალებასთან ერთად, ჩვენი მოწინააღმდეგეების მტკიცების წინააღმდეგ, კვლავ ღრმა სიმპატიებს იჩენენ მუშურ-გლეხური მასები საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიოში არ არის არც ერთი მთავრობა, რომელსაც ასეთ სიმპატიებს უცხადებდენ მილიონიანი მუშურ-გლეხური მასები განსაცდელის დროს, როგორც ჩვენს კომუნისტურ პარტიას და აგრეთვე საბჭოთა კავშირს. ვფიქრობ, რომ საერთო აზრს გამოვსთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ეს სიმპატიები იძლევიან ურყევ იმედებს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის სიმტკიცეში. ამ სიმტკიცის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ერთ ერთმა ყველაზე უფრო გავლენიანმა სახელმწიფომ ევროპაში, რომელიც 6 წლის განმავლობაში დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ცნობას, დღეს იცნო მუშების და გლეხების ხელისუფლება მთელი მსოფლიოს თითქმის ერთმეექვსედ ნაწილზე. საბჭოთა კავშირის მშრომელთა ეს დიდი და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე გამარჯვება არის საჩუქარი იმ დიდი მსხვერპლისათვის, რომელიც გაიღეს საბჭოთა კავშირის მუშებმა ყველა ეს ფაქტები იძლევიან მტკიცე რწმენას საბჭოთა კავშირის შეურყევლობაში და მომავალ დაწინაურებაში.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ამხ. რიკოვის ბიოგრაფია

მოსკოვი. 4 თებერ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაიბადა 1881 წ. ქალაქ სარატოვში, გლეხის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო ყაზანის უნივერსიტეტში 1898 წ. შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და 1899 წ. უკვე იყო პარტიის ყაზანის კომიტეტის წევრი. 1901 წელს ის დაატუსაღეს და 9 თვეს ციხეში ყოფნის შემდეგ გადაასახლეს სარატოვში და გამორიცხეს უნივერსიტეტიდან რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. სარატოვში ამხ. რიკოვი განაგრძობდა მუშაობას რ. ს. დ. მ. პ. გაყოფის შემდეგ ამხ. რიკოვი მიემხრო ბოლშევიკებს და არჩეული იქნა ცენტრალურ კომიტეტის წევრათ. მეოთხე ყრილობაზე—1906 წ. ის ხელახლა იქნა არჩეული ც. კ. წევრად. 1907 წ. ის დაატუსაღეს და 2 წლით გადაასახლეს სამარაში. 1909 წელს მას ისევ ატუსაღებენ და სამი წლით გზავნიან არხანგელსკის გუბერნიაში.

ამხ. რიკოვმა მოახერხა საზღვარგარეთ გაპარვა, მაგრამ ჩქარა დაბრუნდა რუსეთში პარტიული კონფერენციის მოსაწვევად. ის დაატუსაღეს და 4 წლით გადაასახლეს ნარიმის მხარეში. აქ მას მოუსწრო თებერვლის რევოლიუციამ. სულ ციხეში გაატარა მან 7 ნახევარი წელი.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ის არჩეული იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, შემდეგ სასურსათო კომისარის კოლეგიის წევრად. 19 8 წლიდან, მცირეოდენის დროის გამოკლებით, ის ასრულებს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარეს მოვალეობას. ამხ. რიკოვი არის რ. კ. პ. მუდმივი წევრი, სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრი, შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე და ასრულებდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მოვალეობას.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

მოსკოვში.

მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ გრძელდება. მოსკოვის ყველა რაიონებში შემოტანილია 12.644 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. პარტიის ახალი წევრები დამტკიცებული იქნებიან განსაკუთრებულ საკონტროლო სამეულის მიერ.

ვიატკაში.

ვიატკის ორ რაიონში შეტანილია 300-ზე მეტი განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

კიევში.

„ისტრებიტელის“ ესკადრილიის მფრინავები კოლექტიურად შევიდენ პარტიაში. წითელ კომანდირებს და მუშებს შეაქვთ განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

კრასნოიარსკში.

კრასნოიარსკის რკინისგზის სახელოსნოებმა გამოჰყვეს 300 საუკეთესო მუშა რუსეთის კომპარტიაში გასაგზავნად. სულ ჩაეწერა პარტიაში 700 კაცი.

ეკატერინოსლავში.

მუშების ლტოლვა კომპარტიაში გრძელდება. შეტანილია 1000-ზე მეტი განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ.

ჟიტომირში.

უკანასკნელ დღეებში დაახლოებით 800 მუშამ შეიტანა განცხადება რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი.

მოსკოვი. 4 თებერვ. სორმოვის ქარხნის მუშებმა რიცხვით 1200 კაცმა დაადგინა შევიდეს კომპარტიაში. ქარხნის „კრასნაია ეტნა“-ს 900 მუშა შევიდა კომპარტიაში.

ლენინგრადში.

ლენინგრადი. 4 თებერვ. 31 იანვრამდი შემოვიდა 2000—ზე მეტი განცხადება მუშებისაგან პარტიაში შესვლის შესახებ.

ტვერის გუბერნიაში

მოსკოვი. 4 თებერვ. ტვერის გუბერნიიდან მიღებული ცნობებით პარტიაში შევიდა 2000 მეტი მუშა.

ვიაზმა

მოსკოვი, 4 თებერვ. კომპარტიის ვიაზმის კომიტეტში შემოვიდა 870 მუშის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

ოდესა.

ოდესა. 6 თებერვ. 1 თებერვალს შემოვიდა 200 მეტი მუშის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

ეკატერინოსლავში.

მოსკოვი. 4 თებერვ. მუშების შესვლა კომპარტიაში გრძელდება. უკანასკნელ დღეებში პარტიაში შევიდა 178 რკინისგზელი.

ლიბკნეხტის სახელობის ქარხანაში პარტიაში შესვლის სურვილი განაცხადა 70 წლის მოხუცმა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო გამოძახილი

საქართველო

ჩათახის მუშებისაგან. ჩვენ ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის მუშები და მოსამსახურეები უერთდებით საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მწუხარებას და ფიცსა ვსდებთ ჩვენი დიდი მასწავლებლის საფლავის წინაშე, რომ ჩვენ ვივლით ძვირფას ილიჩის მიერ ნაჩვენებ გზით, გადავლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებებს, რომელიც შეგვხდება ჩვენს გზაზე და მედგრად წავალთ კომუნიზმის დიდებულ იდეის განხორციელებისაკენ.

რუსეთში

ლენინის ქალაქში საყდრები აღარ იქნება.

როსტოვი | დ. 5 თებერვალი. რკინისგზის სახელოსნოების მუშების მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა დაიხუროს ყველა საყდრები ტიმერნიკში, რომელსაც სახელად ეწოდა ლენინის ქალაქი.

უცხოეთში

მოსკოვი. 4 თებერვალი. უცხოეთის გაზეთები იძლევიან აურაცხელ მასალებს, რომლებიც ახასიათებენ კაპიტალისტური ბანაკის ყველაზე შეურიგებელი ელემენტების დამოკიდებულებას ლენინისადმი. მოგვყავს ზოგიერთი ნაწყვეტები.

„ტაიმს"-ი სწერს: „ლენინი განსაკუთრებული ფიგურა იყო, ამიტომ ის დრო, როცა ის ცხოვრობდა, განსაკუთრებული იყო. ის თვით წარმოადგენს საუკეთესო დამტკიცებას მარქსისტული დოქტრინისას, რომელიც ლალადებს, რომ ისტორიის მატერიალური ძალები ქმნიან ადამიანს და არა ადამიანი—ისტორიას. ლენინი—სწერს გაზეთი—უმთავრესად იყო პრაქტიკოსი და არა პრაქტიკოსი. ლენინმა დროებით გაიმარჯვა.

ნიუ-იორკის გაზეთი „ხიუნდეი პოსტ" სწერს: „ლენინის კარიერის მთავარ თავისებურობას წარმოადგენდა შეურყეველი რწმენა დაუყოვნებლივი და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობაში. ლენინის ნიჭი და მისი გულწრფელობა უდავოა".

ფინეთის გაზეთი „აბო უნდერ რეტელზერ" სწერს: „ბოლშევიკები არ გაქცეულან ფულებით საზღვარგარეთ, არამედ მათ შეასრულეს უდიდესი მუშაობა მათ მიერ წინათ დანგრეული წესრიგის აღსადგენათ. ბოლშევიკების თვითშეურიგებელი მტრებიც კი იძულებული არიან, რომ ბოლშევიკების დამხობა ქაოსს შექმნიდა რუსეთში. ლენინის ავტორიტეტის მიზეზია—მისი პატიოსნება, მორცხვობა, გენიოსის შრომის უნარიანობა და თავისი შეცდომების აღიარების უნარი.

გაზ. „ჟურნალ"-ში მოთავსებულია სენატორ დემონზის დიდი წერილი. დე-მონზის გაჰყავს პარალელი ლენინსა და კრომველს შორის, რუსეთის და ინგლისის რევოლიუციას შორის და ამბობს, რომ პურიტანების მისტიურმა ეგზალტაციამ გამოკრთომა ჰპოვა რუს რევოლიუციონერების ეკზალტაციაში, რომელსაც ასულდგმულებს მარქსისტული დოქტრინა.

ბერლინის გაზ. „ფორვერტს" სწერს: „ლენინი იყო რევოლიუციის რკინის ცოცხი, რომელმაც მოჰხვეტა ფეოდალიზმის ნამსხვრევები და მოიგერია კონტრ-რევოლიუციის თავდასხმები. ეს ამოცანა ლენინმა შეასრულა ისეთი გამბედაობით და ენერგიით, რომელიც განცვიფრებას იწვევს. ამაში იყო მისი ძალა და სიდიადე".

იაპონიაში

იაპონელ მუშების სამძიმარი.

პეკინი. 4 თებერვალი. იაპონიიდან ამხ. კარახანის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „იაპონიის წითელი ახალგაზრდობა და სოფლის მეურნეობის მუშები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო".

ერთად ერთი ავტორიტეტი.

პეკინი. 4 თებერვალი. იაპონიაში ყველაზე უფრო გავრცელებული გაზეთი „ოსაკა მაინიჩი" სწერს ლენინის სიკვდილის გამო: „ეს არის თვალსაჩინო გმირი, ერთად ერთი ავტორიტეტი, რომელიც წამოაყენა რევოლიუციამ. ლენინმა ხორცი შეასხა მარქსის თეორიას, განავითარა და ცხოვრებაში გაატარა ის".

ჩინეთი.

ჩინეთის მეგობრული კავშირი რუსეთთან არ წყდება.

ტაშკენტი. 4 თებერვალი. კულჯში (დასავლეთ ჩინეთში) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი გუბერნატორის მეთაურობით ეწვია გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს და ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირზე მოვლენილ მწუხარების გამო. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმედი გამოსთქვეს, რომ საბჭოთა კავშირი, გამხნევებული გარდაცვალებული ბელადის იდეებით, მომავალშიაც განაგრძობს რუსეთის და ჩინეთის მეგობრობის განმტკიცებას.

სამძიმარის დეპეშა.

პეკინი 4 თებერვალი. კარახანს განუწყვეტლივ მოსდის ჩინეთის ყველა კუთხიდან წერილები და დეპეშები, რომლებშიაც გამოთქმულია მწუხარება ლენინის გარდაცვალების გამო. სხვათა შორის მიღებულია სამგლოვიარო დეპეშები ჩინეთის მრავალ წარმომადგენლებისაგან და სრულიად ჩინეთის სტუდენტების კავშირისაგან.

პარტიული „ცხოვრება"

გადაუდებელი ამოცანა

სხვა დაბრკოლებათა შორის, რომელნიც ხელს უშლიან შინა-პარტიული დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებას, ამხ. სტალინმა, თავის მოხსენებაში სრულიად საკავშირო პარტ-კონფერენციაზე, აღნიშნა „დაბალი კულტურული დონე მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციებისა, უჯრედებისა, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში... თქვენ იცით, რომ დემოკრატია მოითხოვს ორგანიზაციის და უჯრედის (მთლიანად) წევრთაგან კულტურობის ერთგვარ მინიმუმს და აქტიურ მუშაკთა მინიმუმის ყოლას, რომელთა არჩევა და წამოყენება თანამდებობაზე შესაძლებელი იქნება. უკეთუ ორგანიზაციას არ ეყოლება ასეთი მინიმუმი აქტიურ მომუშავეებისა და კულტურული დონე თვით ორგანიზაციისა დაბალი იქნება,—ცხადია, რომ დემოკრატიის პრინციპიდან აქ საჭირო იქნება უკან დახევა".

ხაზს უსვამთ რა საკითხს პრაქტიკული ამოცანების შესახებ ჩვენი უბრალო პარტ-ამხანაგების დაბალი დონის ასამაღლებლად, კერძოდ და განსაკუთრებით გლეხებისას, ჩვენ გვინდა უმაღლესი პარტ-ორგანოების და განსაკუთრებით ც. კ-ის, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენი სამაზრო ორგანიზაციების ნამდვილ აქტიურ მომუშავე პარტ-ამხანაგების მინიმუმით შევსების საჭიროებას.

აშკარად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს სამაზრო პარტ-ორგანიზაციებს არა ყავთ არამც თუ საჭირო კადრი აქტიურ, ინიციატიურ, პოლიტიკურად მომზადებულ ხელმძღვანელებისა და მუშაკებისა, არამედ არა ყავთ მათ მათი მინიმუმიც. უკეთეს შემთხვევაში მაზრებში—სამაზრო ცენტრებში—თქვენ შეხვდებით მხოლოდ 2—3 ნამდვილად მომზადებულ, გამოცდილ კომუნისტებს, რაც, რასაკვირველია, საკმაო არაა და ეს ფაქტი დიდად აბრკოლებს და აფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას. მაზრებში არ არის საჭირო რეზერვი პარტ-ამხანაგებისა ამა თუ იმ დაწესებულებებში გასაგზავნად და საარჩევნო თანამდებობებზე წამოსაყენებლად სამაზრო, სარაიონო და, განსაკუთრებით, სასოფლო ორგანოებში, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული გლეხობასთან.

ისეთი პარტ-ამხანაგის არ ყოლა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ამოცანები და შეძლებაც აქვს გაატაროს ისინი ცხოვრებაში, უეჭველია, ვერ შეუწყობს ხელს ცენტრის თვით ფრიად კეთილი ზრახვების წარმატებით დაგვირგვინებას და გლეხობის ნამდვილად ჩაბმას შემოქმედებითი მუშაობაში.

თავისთავად ცხადია, რომ, თუ არც მატერიალური და არც იდეოლოგიური მხარეები არც თუ ისე ხელს უწყობენ საბჭოთა საზოგადოებრიობის შექმნას სოფელში და თითქმის სამაზრო ცენტრშიაც, მომუშავეთა არ ყოლა უფრო მეტად ამწვავებს ამ მდგომარეობას.

ყველასათვის აშკარაა, რომ გლეხი მსჯელობს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის შესახებ არა რეზოლიუციებისა და დეკლარაციების მიხედვით—თუგინდ ესუკანასკნელნი ძალიან საჭირონიც იქნენ—არამედ ცალკე პარტ-ამხანაგების, კომუნისტების—აღმასკომის წევრების, მილიციონერების და უბრალო კომუნისტის სიტყვებისა და მოქმედების განსჭვრეტით. ეს მდგომარეობა კატეგორიულათ მოითხოვს ჩვენგან მივაწოდოთ პროვინციას, რაიონს, სოფელს რაც შეიძლება მეტი რიცხვი გამოცდილ, გამოწვრთნილ და მომზადებულ ამხანაგებისა.

როგორი უნდა იქნეს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ც. კ-ის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას შეადგენს პარტ-ამხანაგების მაქსიმალური რიცხვის გადაგზავნა ტფილისიდან მაზრებში სხვადასხვა სამუშაოზე—თუგინდ სრულიად უბრალოზე. რაც არ უნდა თქვან, როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაუწიონ ამას როგორც წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, ისე თვით გასაგზავნ ამხანაგებმაც, ეს ზომა გატარებულ უნდა იქნეს კატეგორიულად, ბოლშევიკურად, ვინაიდან ამ ღონისძიებას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ საშუალებით ჩვენ ოდნავ მაინც შევანელებთ მაზრების უდიდეს საჭიროებას აქტიურ, პოლიტიკურად მომზადებულ პარტ ამხანაგებში.

თუ მოსკოვმა შესძლო თავის დროზე გადაეგზავნა ათასი პარტ-ამხანაგი კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, ტფილისი და ტფილისის ორგანიზაცია ვალდებული არიან მისცენ კულტურული ძალები ღარიბ პროვინციას შრომის უნარის მქონე, აქტიური და ისეთი პარტ ამხანაგები, რომელთაც სავსებით აქვთ შეგნებული გლეხობაში მუშაობის და სოფელ-ქალაქის ერთმანეთთან დაკავშირების ამოცანის მთელი სირთულე და მნიშვნელობა.

ა. ჯაფარიძე.

გორის მაზრის პარტსკოლა

10 ოქტომბერს გაიხსნა ქ. გორის საბჭოთა პარტსკოლა. თავიდან კურსანტები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ შენობის უქონლობის გამო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასწრაფოთ შეაკეთა სამასწავლო შენობა და მას აქეთ სწავლა თავისი სიმაღლეზე არის დაყენებული. კურსანტები ძალიან გულმოდგინეთ ეკიდებიან სწავლა-მეცადინეობის საქმეს, განსაკუთრებით პოლიტიკურ საგნებს. პოლიტ ეკონომიას გვასწავლის გორის მაზრკომის მდივანი ამხ ა. გიორგაძე. პარტმუშაობის და ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს თვით პარტსკოლის გამგე; ამხ. მ. მესტროპოვი. ყველა მასწავლებლები დიდი ხალისით და ენერგიით ეკიდებიან ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის საქმეს. კურსანტები ყოველმხრივ დაკმაყოფილებულნი არიან. სკოლის შინაგან ცხოვრებაში დისციპლინა კარგათ არის დაცული. ამორჩეული გვყავს სხვა და სხვა ორგანოები, რომელნიც განაგებენ ჩვენს ცხოვრებას. არის სამკითხველო, მოგვდის ყოველდღიურათ შემდეგი გაზეთები: „კომუნისტი", „მუშა", „მიწის მუშა", „რაბოჩაია პრავდა", და აგრეთვე ჟურნალები. არსებობს კომპარტიის და კომკავშირის უჯრედები. კვირაში ოთხი საათი გადადებულია სამხედრო ვარჯიშობისთვის, რომელშიაც ხელმძღვანელობას გვიწევს მე 7 განდან. ათასეულის უფროსი ამხ. გაბუნია.

განზრახული იყო ექსკურსიის მოწყობა ქ. სოხუმში, ამჟამად კურსანტები მოითხოვენ, რათა იქნეს აღძრული შუამდგომლობა ცეკას წინაშე, რათა ექსკურსია მოწყობილ იქნას მოსკოვში გარდაცვალებულ ძვირფასი ბელადის ცხედრის სანახავათ და მასთან მოსკოვის წარმოებების დასათვალიერებლად. ძვირფასი ბელადის დაკარგვამ გლოვის ზარი დასცა კურსანტებს. კურსანტები ფიცს ვდებთ მისი ცხედრის წინაშე, რომ მის ანდერძს და მის ლოზუნგებს ერთგულათ ვემსახურებით და ძირს არ დაუშვებთ იმ დროშას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მაღლა ეჭირა ჩვენ ძვირფას დაუვიწყარ ბელადს.

მ. გელაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(6 თებერვალი)

ჩერვონცები — —	1.690,000 ათ.
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	1 571,000
ჩეკები	—1.525 000
დოლარი ეფექ.	—373.500—
ჩეკები	— 350 000—
ოსმალ. ქაღ. ლირა	—228 000
იტალიური ლირა	—15,75
ფრანგული ფრანკი	—16 ნახ.
საბჭ. ფულის ნიშნები	—16 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

(5 თებერვალი)

პური 1 ხარ. 10,000, პური 2 ხ. 8000, ძროხის ხორცი—36000 ათ. ღორის ხორცი—35000 ათ. შაქარი რაფინადი—73 200 ათ. ფხვნილი შაქარი—47,200 ათასი, კარტოფილი—2500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(5 თებერვალი)

პური 1 ხ.—15000 ათ., პური 2 ხარ.—12000, ძროხის ხორცი 50000 ათ. ღორის ხორცი 50000 ათ., შაქარი რაფინ. 75000 ათ., შაქარი ფხვნილი 49,000 ათ., კარტოფილი 4000 ათ.

ოფიციალური გარიგებანი.

ფქვილი (პურის) სტავროპოლის 3 ტ 4—ხარ. 1 მ. 70 კ. ფ. ფრანკო-გამყიდველის საწყობი, ფქვილი (პურის) 1 ხარ.—2 მ. 50 კ. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ქვა-მარილი ნახიჩ.—51 კ. ფ. ფრანკო სადგ. ტფილისი.

ს. ქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბალზე, ფქვილზე, ტეხნიკურ ცხიმებზე—მტკიცეა, რკინეულობაზე—სუსტია, დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების კურსი, წინა დღეებთან შედარებით, უფრო მატულობს, აგრეთვე უცხო ვალიუტაც.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

ბირჟის გარეშე დადებულია 46 გარიგება—229528 ჩ. მანეთისა, 1 თებერვალს 7 გარიგება—9470 მან. და 2 თებერვალს—14 გარიგება—88251 მანეთისა.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(6 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	—1.690.000,	60 კ.	—101 400.000
2 „	—3 380.000,	70 „	—118.300.000
3 „	—5.070 000,	80 „	—135 200.000
4 „	—6 760.000,	90 „	—152.100.000
5 „	—8 450.000,	1 მ.	—169 000.000
6 „	—10.140.000,	2 „	—338 000.000
7 „	—11 830.000,	3 „	—507.000.000
8 „	—13,520.000,	4 „	—676 000.000
9 „	—15 210.000,	5 „	—845 000.000
10 „	—16.690.000,	6 „	—1.014 000.000
20 „	—33 800.000,	7 „	—1183 000.000
30 „	—50 700.000,	8 „	—1.352 000.000
40 „	—67 600.000,	9 „	—1,521.000.000
50 „	—84.500.000,	1 ჩერ.	1,690.000.000

კოოპერაცია

მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

—23 თებერვალს შესდგა ტფილისის მუშკოოპის რწმუნებულთა კრება, რომელსაც დაესწრო 250 რწმუნებული.

დღის წესრიგის მთავარ კითხვას შეადგენდა გამგეობის ანგარიშის მოსმენა და მისი დამტკიცება.

კოოპერატივთა ცენტრ. გამგეობის ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. ერისთავი)

მომხსენებელმა კრებას წარუდგინა სამი პერიოდის ანგარიში: 1921 წ. 1 სექტემ.—1922 წ 1 სექტემ. 1923 წ. სექტემბერ-დეკემბრის ანგარიში, 1922 წ.—1 იანვრიდან 23 წლის 1 ივლისამდე; გარდა ამისა წაკითხულ იქნა 23 წლის 1 ივლისიდან—24 წლის 1 იანვრამდე მოქმედების შესახებ ინფორმაციული ცნობები.

მუშკოოპის აქტიური წევრთა რიცხი 11 ათას უდრის, რაც პროფკავშირებში დარაზმულ მუშა-მომსახურეთა საერთო რაოდენობა 32 პროც. შეადგენს. მუშკოპმა თავისი მოქმედება გაავრცელა აგრეთვე ქალაქის ახლო მდებარე სოფლებზე, რის გამოც მისი შემადგენლობა გამრავალფეროვნდა ე. ი. მუშურ-გლეხურ დაწესებულებად გადაიქცა.

მუშკოოპის სავაჭრო მოქმედება.

მუშკოოპის სავაჭრო მოქმედება საგრძნობლად გაფართოვდა; 6 მაღაზიის ნაცვლად, რომელიც ამ ორი წლის წინად იყო, ამ ჟამად მოქმედებს ქალაქში 27 მაღაზია, ხოლო სასოფლო რაიონებში 5 დუქანი. ბრუნვამაც შესამჩნევად იმატა: 1923 წლის პირველ ნახევარში შედარებით ბრუნვა ორჯერ გადიდდა. ამას გარდა ფართოდ მოეწყო მუშებზე ნისიად საქონლის გაცემა. დიდი ნაყოფი გამოიღო მუშკოოპმა გამომცხვარი პურის დამზადების საქმეში. ყოველდღიურად მუშკოპი აცხობს 1200.—1300 ფუთს პურს, რომლითაც აკმაყოფილებს ყველა აქტიურ წევრს.

ტფილისის ბაზარს მუშკოოპი აწვდის რძეს და რომლის ორგანიზაციული მოწოდება სწარმოებს ორი სასოფლო რაიონიდან: სართაჭალის და ყარაიაზის, სადაც მოწყობილია რამოდენიმე პატარა „ზავოდი". ყარაიაზში მუშკოოპმა ხელახალა აღადგინა სარძეო ქარხანა. სასოფლო-სამეურნეო მამულში,—„მაგმუდლო"-ში აღდგენილ იქნა შვეიცარული ყველი დასამზადებელი ქარხანა, რომელმაც 23 წელს დაამზადა 800 ფუთი შვეიცყველი, 800 ფუთი თუშური და 100 ფუთი ერბო.

ამავ წელს დათიბულია მამულში 17 ათასი ფუთი თივა, იქვე მოწყობილია საფუტკრე სკები, ფრინველების მოშენება, მებაღეობა და სხვა. მუშკოპი აგროვებს აგრეთვე ძროხების ჯოგს, რომელიც ამ ჟამად 140 ძროხისგან შესდგება.

მუშკოპის ფინანსიური მდგომარეობა

მუშკოპის თანხების საერთო ჯამი შეუჩერებლივ იზრდება. 23 წლის პირველ ნახევარში თანხა გაორკეცდა და 1 ივლისისთვის 642 602 ჩერვ. მანეთს მიაღწია. ამავე დროს ქონებაში ჩარიცხული მკვდარი კაპიტალის პროცენტი თანდათან კლებულობს, ხოლო ცოცხალი—მოქმედი კაპიტალი იზრდება. საუცხოვოდ მოქმედებს აგრეთვე საბანკო განყოფილება, რომელიც თავს უყრის ყველა მუშათა ორგანიზაციების თავისუფალ თანხებს და მუშა-მოსამსახურეების საჭიროების გადარჩენილ ფულს.

23 წლის 1 ივლისისათვის მუშკოოპის ყველა ოპერაციებიდან დარჩენილი წმინდა მოგება 50.882 ჩერვ. მანეთს უდრიდა.

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მომხსენებელი ამხ. კორენევი აღნიშნავს მუშკოოპის მუშაობის ნაკლს, რომელიც რამოდენიმედ უკვე გამოსწორებულ იქნა და რამოდენიმედ მომავალში უნდა გამოსწორდეს. სარევიზ. კომ.-დან აღნიშნული ძირითადი დებულებები „ნაკაზის" სახით რწმუნებულთა მიერ სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული.

მოხსენებების დასასრულ კრებამ დაადგინა 1) მუშკოპის მუშაობა ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად, 2) დამტკიცებული იქნეს 23 წლის ივლისამდე წარმოდგენილი ანგარიში.

წმინდა მოგების განაწესრიგება.

წმინდა მოგება ასეა დანაწესრიგებული: 25,480 მან.—ე. ი, 50 პროც. გადაირიცხა ძირითად კაპიტალში. 21,324 მან. 64 კაპ. მიეცა საბანკო განყოფილებას, 1,000 მან. გადიდდა საშეფო და საქველმოქმედო საქმეებისთვის, დანარჩენი 3,076 კაპ. მიეცა პროფსაბჭოს მუშათა სანატორიუმების მოსაწყობად. გადადებული იქნა საპაიო გადასახადი 5 ჩერ. მანეთამდე, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს 2 წელში. დამტკიცებულ იქნა ახალი წესდება და ინსტრუქცია.

ახალი გამგეობა.

გამგეობაში არჩეულ იქნენ ისევ ძველი მუშაკნი: ამხხ. ერისთავი, მელჩარსკი, მელიქოვი, ბაგონიცი და ბოლქვაძე. მასთან უფრო მჭიდრო კავშირის დასაჭერად გამგეობა გადიდებულ იქნა კიდევ შემდეგი ამხანაგებით: მიგრიჯანიშვილი, ნაზაროვი, ენუქიძე და მაქსიმოვით.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან ამხ. ამხ. კორენევი, ატოივი და შოპოტაევა. დასასრულ კრება იღებს რა ამხ. ყურულაშვილის დამსახურებას მუშკოოპის წინაშე, ირჩევს მას მუშკოოპის საპატიო წევრად.

ტფილისის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

2 თებერვალს, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგა აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა. დღის წესრიგში იყო: 1) ზაჰესკომის მოხსენება, 2) საბინო საქმე, 3) მიმდინარე საკითხები.

ზაჰესკომის ფინანსიური მდგომარეობა (მომხსენებელი ამხ. თედოღლონტი).

ახალი სესხი.

21 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ (СТО) აუცილებლად სცნო ზემოავჭალის ჰიდრო-სადგურის ასაგები მუშაობის გაძლიერება და ამ მიზნით პრინციპიალური გადაწყვეტილება გამოიტანა მიეცეს ზაჰესკომს სესხი, **რომლის რაოდენობა 1.925 ათასი ოქროს მანეთით განისაზღვრება.**

ფინან. სახ. კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოსთან შეთანხმებით სესხი ზაჰესკომს შემდეგი წესით მიეცემა: 1924 წლის იანვარში მიეცემა 350,000 მანეთი, თებერვალში—375 000 მანეთი, მარტში—250 000 მან. აპრილში—200,000 მანეთი, მაისში-300,000 მანეთი ოქტომბერში—340.000 მან. და ნოემბერში—110,000 მან.

იანვრისთვის სესხი უკვე მიღებულია.

რ. | გზის შეღავათიანი ტარიფი.

მუშაობის გასაიაფებლად, შუამდგომლობა იყო აღძრული გზათა სახ. კომ. წინაშე ზემო-ავჭალის სადგურის საჭიროებისათვის სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდათ რ | გზაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ. გზათა სახ. კომის. კოლეგიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და 50 პროცენტით შეამცირა გადასაზიდი ხარჯები.

ჯებირების ასაგებად.

ჯებირების ასაგებად რუსეთის ქარხნებში შეკვეთილი აქვთ რკინის საფარები (ЩИТЫ) ფოლადის მექანიზმით და 14 ცენტრისწრბოლი საქაჩი (НАСОСЫ) ჯებირის ასაგებ ადგილიდან. წყლის გადასაღვრელად შეკვეთილი აქვთ პეტროგრადის „მაშინტრესტს" და ჯდება ნახევარი მილიონი ჩერვ. მანეთი, რაც ძალიან იაფათ უნდა ჩაითვალოს. შენაკვეთი დამზადებული იქნება ა | წ. მაისისთვის.

მომარაგებული მასალა.

აუცილებელი მასალის შეკვეთა უკვე დასრულებულია. შეკვეთილია ძალიან იაფად 500.000 ფუთი ცემენტი—„ზვეზდას" ფირმას. თხრილის და ჯებირის სამუშაოებისათვის შეკვეთილია განსაკუთრებული სწრაფად მოქმედი ცემენტი (ТАМПОНОМНЫЙ). გარდა ამისა, შეკვეთილია 200.000 ფუთი რკინა, დინამიტის დიდი პარტია, ბიკფორდის კაპსულები და სხვ. ზონარი.

ღამით მუშაობისათვის.

მისთვის, რომ ერთი წუთითაც არ შეჩერდეს მუშაობა ღამით, შეკვეთილია მასალები ელექტრონისთვის, რომელიც სამუშაო ადგილებს გაანათებს და უშუებს მუშაობის საშუალებას მისცემს.

ელ.-სადგურის შენობა.

ამ მოკლე ხანში გერმანულმა ფირმამ ნეიმაიერმა „მაშინსტროიმ" და ელ, მაშინსტროიმ უნდა წარმოადგინონ ელ.-სადგურის შენობის გეგმები და ნახაზები. შენობის აგებას ზაჰესკომი შეუდგება წრეულსვე.

ადგილობრივი თანხების საჭიროება.

მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთიდან სესხი მიღებულია ორჯერ, სულ 2 695.000 მანეთის რაოდენობით და მოხმარებულია აგრეთვე ადგილობრივი თანხები. სადგურის ასაგებად მაინც საჭიროა კიდევ 800.000 მანეთი.

ამ თანხის მისაღებად ზაჰესკომი ფიქრობს გამოუშვას შინაური სესხი—ობლიგაციები. იმ მიზნით, რომ სესხი პოპულიარულ იქნეს მუშა-მოსამსახურეებში, განზრახულია გამოშვება წვრილი კუპიურების (10—5 მან. ღირსების), რომელიც ხელმოკლე მუშა-მოსამსახურისათვის მისაწვდომი გახდება.

რეზოლიუცია.

პლენუმი ამტკიცებს სესხის პროექტს და ადგენს არა უგვიანეს მარტისთვის გამოუშვას საობლიგაციო სესხი.

შესრულებული და მომავალი მუშაობა.

(მომხსენებელი ინჟ. ქექინაძე)

ინჟ ამხ. ქექინაძე მოკლე მოხსენებას აკეთებს მუშაობის დღევანდელ მდგომარეობისა და მომავალ მუშაობათა შესახებ.

არხის და სხვა მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 23 წლის აპრილიდან. დღემდე მთელი მოსამზადებელი მუშაობა სავსებით შესრულებულია. ამ ჟამად მზადდება შენობათა გარეპირის ქვა (облицовочный камень).

წლის გადასაღვრელი საქაჩავისათვის დადგმულია 225 ც. ძალის მქონე დიზელის მანქანა, გარდა ამისა ავტონომიური მანქანები იძლევიან 85 ც. ძალას. ასე, რომ ამ საჭიროებისათვის ამუშავებული იქნება 300 ცხენის ძალაზე მეტი ენერგია. მიმდინარე წლის მაისისთვის დამზადებული იქნება შეკვეთილი საქაჩავები. საჭირო იყო სულ 4000 კუბიკური საჟენი თხრილის ამოღება; 15 იანვრამდე ამოღებულია მთელი სამუშაოს 50 პროცენტი.

პლოტინის (ჯებირის) ასაგები მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მიმდინარე წლის აგვისტოდან, 25 წლის გაზაფხულამდე დასრულებული იქნება სავსებით არხის გაყვანა, ჯებირებისათვის თხრილების ამოღება, საფარი, სადგურისათვის შენობის აგება და ბეტონებით არხის დაგება. დღესდღეობით ავჭალის სადგურის ასაგებად ყოველდღიურად მუშაობს 2500 კაცი. მოკლე ხანში, როცა „ОГО СТРОЙ" თავის მუშაობის გაფართოვებას შეუდგება, ავჭალაში იმუშავებს 3000 მუშა ხელი.

ქალაქის აღმასკომის პლენუმმა ამხ. ქექინაძის მოხსენების მიხედვით, დღემდე წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაავალა აღმასკომს და ზაჰესკომს ფხიზლად ადევნონ თვალყური მუშაობის მსვლელობას.

შემდეგ მოხსენებას საბინო საკითხის მოწესრიგების შესახებ აკეთებს ამხ. ოტიევი.

მოხსენების განხილვა პლენუმმა შემდეგი სხდომისათვის გადასდო.

პროფკავშირებში

ინჟინერთა ცენტრალ. ბიუროს ურთიერთ დახმარების კასა.

საქ. პროფსაბჭოსთან არსებული ინჟ. ცენტრ. ბიურო იმუშავებს ურთიერთ დახმარების კასის წესდებას. ცენტრ. ბიუროს მომავალ სხდომაზე დაისმება და საბოლოოდ გადაწყდება ურთიერთ დახმარების კასის მოწყობა საინჟ-ტეხნიკ. ძალებისთვის.

ინჟ. ცენტ. ბიურო და ქართული ტეხნიკური საზოგადოება.

პროფსაბჭოსთან არსებულ ინჟ. ცენტრ. ბიურომ დაავალა ამხ. ბაბოვს დაიჭიროს კავშირი და იქონიოს სრული კონტაქტი ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებასთან.

ქიმიკოსთა კავშირში.

ქიმიკოსთა კავშირის საქალაქო თათბირმა მოისმინა ამხ. არაქელოვის მოხსენება პროფკავშირის სამეურნეო ორგანოებთან დამოკიდებულების შესახებ. გამოტანილ იქნა დადგენილება კავშირის ეკონომიური მუშაობის გაძლიერების შესახებ, რომელშიაც უნდა ჩაებას როგორც ფაბ.-საქარხნო კომიტეტები, ისე ცენტრ გამგეობა.

ტრესტების მუშაობა.

(მოხსენება ქიმიკ. კავ. ც. გ. პლენუმზე.)

ქიმიკოსთა კავშირის პლენუმმა მოისმინა მოხსენება საფეიქრო ზეთის და საპნის დასამზადებელ ტრესტების მოქმედების შესახებ ქიმიურ მრეწველობის დარგში. პლენუმი აღნიშნავს ტრესტის მოქმედების ნაყოფიერებას წარმოების ორგანიზაციის და ნაწარმოების გასაღების დარგში. ამავე დროს პლენუმი ადასტურებს, რომ ტრესტებს საკმაო ყურადღება მიუქცევიათ წვრილეულ მასალის შექნისათვის წარმოებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

პლენუმის მიერ აღნიშნული იყო აგრეთვე ტრესტების მიერ კომერციული ოპერაციების სათანადო დონეზე დაყენება. იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნეს ფაბრიკატის თვითღირებულება, საჭიროდ იქნა ცნობილი აპარატის არამწარმოებელი ნაწილის გადასინჯვა (საკანცელიარო პერსონალი) შტატის შემოკლება და ზედმეტი ხარჯების შემცირება.

ტრესტის მოქმედების საპოპულიარიზაციოდ მოწვეულ იქნა მუშათა საერთო კრება, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენება ტრესტების მოქმედებათა შესახებ.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მუშაობა

საორგანიზაციო დარგში.

კავშირის წევრთა რიცხვი რესპუბლიკაში უდრის 3.600 კაცს, აქედან უმუშევარია—213, ტფილისში—180. კავშირის წევრთა უმრავლესობას წარმოადგენენ მუშები (53 პროც.).

კავშ. ცენტ. გამ. ურთიერთობა პროფსაბჭოსთან ნორმალურია.

სრ. რუს. კავშირი ცენტ. კომ.—თან ცენტ. გამგეობას აქვს ხშირი წერილობითი ურთიერთობა. ც. გ. წარმომადგენელი ცენტ. გამგეობას ეწვია ორჯერ, ცენ. კომ—ში ც. გ. წარმომადგენელი გაგზავნილ იქნა სამჯერ.

ცენტ. კომ. საქ. კავშირის მუშაობის შესახებ მოისმინა მოხსენება და დამაკმაყოფილებლად სცნო იგი.

არევდარევის შემტანი ელემენტი კავშირში არ არის, პროფდისციპლინა ძლიერია.

პერსონალურ წევრობაზე ტფილისი სავსებით გადავიდა, პროვინცია კი მხოლოდ 30—40 პროც.

კავშირის ფინანსები.

გასული წლის ანგარიშით კავშირს დაედვა სხვადასხვა ფონდების ვალი—180 ჩერვ. მანეთი, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება გადახდილი და ამით მიღწეული გახდება საკავშირო ბიუჯეტის უდეფიციტობა.

კავშირს აქვს ორი ფონდი: კულტფონდი და უმუშევართა ფონდი, საიდანაც ფული დანიშნულებისამებრ იხარჯება.

სატარიფო მუშაობა.

ადრე კოლექტ. ხელშეკრულება ვრცელდებოდა კავშირის წევრთა 95 პროცენტზე. ამჟამად მთელ რიგ დაწესებულებების და წარმოების სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაზე გადაყვანის გამო, მდგომარეობა საგრძნობლად გამოიცვალა. დღესდღეობით კოლლექტ ხელშეკრულებანი ვრცელდებიან მხოლოდ მსხვილ სახალხო მამულებში მომუშავეებზე ამგვარად მუშების და მოსამსახურეების ზოგიერთ ჯგუფების ხელფასი შემცირდა.

ტეხნიკურ მომუშავეთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განზრახულია სპეც-განაკვეთების ფონდიდან გამოიყოს განსაზღვრული პროცენტი.

რესპუბლიკაში არის—42 მამული; 35 სატყეო და 34 სხვადასხვა წარმოება (აგრონომ. პუნქტები და სხვა).

ყველაზე დიდია სამეურნეო ორგანოებთა: მიწათ სახკომი, ბორჯომის მამული და საადგილ-მამულო განყოფილება.

უმუშევრობა.

უმუშევრობასთან წინააღმდეგ ვერ სწარმოებს რადიკალური ბრძოლა, გამოყენებულია მხოლოდ უმუშევართა ფონდი.

უმუშევრებს უმთავრესად შეადგენენ ფიზიკური შრომის მუშები, რომლებიც სეზონ-სეზონის დაწყების დროს ადვილად შოულობენ სამუშაოს.

მაღალი კვალიფიკაციის მუშები უმუშევართა შორის არ არიან.

კულტმუშაობა.

ადრე მოქმედებდა 11 წერა-კ. უცოდ. სალიკვიდაციო სკოლა, ამ ჟამად მუშაობს 6 სკოლა, რომელთაც საკმაო მოწაფეები ჰყავთ. წ. კ. უცოდინარობა თანდათან მცირდება.

პროფტეხნიკური განათლების დარგში კავშირი უძლურია რამე ნაბიჯი გადადგას. ამ საკითხის გადაჭრა სავსებით დამოკიდებულია სასოფლო სამეურნეო სკოლების ქსელის გაფართოებაზე, რაც ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მიწათმოქ. და სახ. განათლების კომისარიატებისას. მიუხედავათ ამისა, მაინც მოქმედობდა ორი სკოლა: მეფუტკრეობის კურსები,—200 მსმენელით და მეაბრეშუმეობის კურსები—30 მსმენელით.

შემოღებულია აგრეთვე ლექციების კითხვა სასოფლო მეურნეობის უცოდინარობის მოსასპობად.

პრესა არ არის გავრცელებული მუშათა შორის, რადგან ხალისს არ იჩენენ პერიოდულ გამომცემლობისადმი. ცენტ. კომ. თავის ხარჯით იძენს გაზეთებს და უგზავნის პროვინციას. ეს გარემოება აიხსნება კავშირის უმრავლეს წევრთა კულტურული ჩამოქვეითებით.

კლუბები არსებობენ ტფილისის ბოტანიკურ ბაღში, მუყუზანის და ვარციხის მამულში.

ტფილისის განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ პოლიტიკური გადამზადების კვირეული

კვირას, 3 თებერვალს, საღამოს 5 ს. განათლების მუშაკთა სახლში გაიმართა განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადახალისების (გადამზადების) კონფერენციის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრო 120 დელეგატი და გარეშე საზოგადოებაც კონფერენციას ხსნის ამხ. შავერდოვი, რომლის მოკლე მისასალმებელ სიტყვის შემდეგ ხდება პრეზიდიუმის არჩევნები.

ამხ. ფილიპე მახარაძე აკეთებს მოხსენებას ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. მომხსენებელმა მდაბიო ენით გადაუშალა დამსწრეებს ამ გიგანტ პიროვნების ფიგურა. მოხსენება დიდის ინტერესით იქმნა მოსმენილი.

შემდეგ კონფერენცია იმუშავებს რეგლამენტს. სხდომები ჩვეულებრივ გაიმართება საღამოობით 5 საათზე კონფერენცია გასტანს 10 თებერვლამდე.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ მკლავენ საქონელს ამერიკაში.

ამერიკის სასაკლაოებში შემოღებულია ახალი საშუალება საქონლის დასაკლავად. ეს საშუალება, გარდა იმისა, რომ ძლიერ ამოკლებს საქონლის დაკვლისათვის საჭირო დროს, იმით არის კარგი, რომ ჰიგიენურია, რადგან საქონლის სისხლი არ ილვრება. გარდა ამისა ამ საშუალების შემოღების დროს არ არის საჭირო ბევრი მუშა, რაც ხარჯების ეკონომიას აძლევს დაწესებულებას.

ეს საშუალება შემდეგში მდგომარეობს: დასაკლავ საქონელს ერთ რიგათ ჩამოჰკიდებენ უკანა ფეხებით. მათ ახლო დასდგამენ შემწოვ საქაჩავს. ამ საქაჩავებთან შეერთებულია რამდენიმე რეზინის მილი, რომლებსაც ბოლოში ბასრი დანა აქვთ მიმაგრებული. დანის წვერს მიადებენ ყელში დასაკლავ საქონელს, ჭრილობას ფარავს მილი. ამ მილით საქაჩავი სწოვს სისხლს. ასეთი საქაჩავით ცხოველის დაცლას მთელი სისხლისაგან სჭირდება მხოლოდ სამი მეოთხედი წუთი. ამრიგად ცხოველი აშორებულია ზედმეტ წვალებას და სისხლსაც, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა მიზნებისათვის ხმარობენ, წმინდა სახით იღებენ.

ახალი ტიპის ავტომობილები.

შვეციის ჩრდილოეთ ნაწილში შემოიღეს ახალი ტიპის საფოსტო და სამგზავრო ავტომობილები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ცოტა აქვთ კარგი გზები.

კარგ გზებზე ავტომობილი მოძრაობს ჩვეულებრივი გორგების საშუალებით, ცუდ გზაზე კი დაუშვებენ დაბლა სპეციალურად მოწყობილ გორგებს. გარდა ამისა ასეთ ავტომობილებს მარაგათ აქვს ტანკისებური სარტყელი, რომელსაც საჭიროების დროს ამაგრებენ გორგებზე, რომ ავტომობილმა შესძლოს ხრამებზე და გორაკებზე გავლა.

რეზინის სასწაულები.

გერმანიის ერთ-ერთმა ქარხანამ, რომელიც ამზადებს კამერებს ავტომობილებისა და ველოსიპედებისათვის, ორიგინალურ საშუალებას მიმართა თავისი საქონლის სიმაგრის და ამტკიცებლად.

ველოსიპედს ქვეშ, რომელზედაც იჯდა კაცი, დადვეს კამერა, რომელიც იმდენ ხანს ავსეს ჰაერით სანამ არ ასწია ველოსიპედი და ზედ მჯდომი კაცი, საერთო წონით 80 კილოგრამი (5 ფუთი). გაფართოების დროს, კამერა 8-ჯერ უფრო დიდი შეიქმნა, ვიდრე ნორმალურ მდგომარეობაში იყო.

ამ ცდის შემდეგ, მოახდინეს მეორე უფრო განსაცვიფრებელი. სახელდობრ ავტომობილის კამერით ასწიეს ჰაერში საბარგო ავტომობილი, რომლის წონა 80 ფუთს უდრიდა. ამ ცდის დროს რეზინის კამერამ ნორმალურ სიგრძეზე 8-ჯერ მეტი ზომა მიიღო. ცდების დამთავრების შემდეგ კამერამ მიიღო ისევ ნორმალური სიგრძე, რეზინას დაზიანების არავითარი ნიშნები არ დარჩენია.

საბჭოთა სასამართლოში

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში.

— 7 თებერვალს გერმანე ტყეშელაშვილის საქმე, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ მან 23 წ. 15 ივნისს ბრაუნინგის 6 ტყვიით მოჰკლა თავისი მამა.

— 9 თებერვალს—ნიკოლოზ შახნაზაროვის საქმე, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ 22 წლ. მაისში ის თავის ამხანაგებით თავს დაესხა მოქ. ხახანაშვილს გაძარცვის მიზნით.

— 12 თებერვალს—მამედ მუსტაფა ოღლის საქმე, რომელსაც ბრალად ედება მკვლელობის განზრახვა.

— 13 თებერვალს—პავლე წიკლაურის საქმე, რომელსაც ბრალად ედება გაუპატიურება.

— 14 თებერვალს—ვახტანგ მეგალაშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედება გაძარცვა.

— 16 თებერვალს—სერგო მარტიროსოვის საქმე, რომელსაც ბრალი ედება მაჭანკლობაში და ცოცხალი საქონლით ვაჭრობაში.

— 19 თებერვალს—62 გაერთიანებულ სკოლის მოწაფის ალექსანდრე იუნაშკინის საქმე, რომელსაც ბრალად ედება გაუპატიურება.

— 23 თებერვალს—ალექსი ვერგუნის საქმე, რომელსაც ბრალი ედება გაძარცვაში.

ქრონიკა

— **სრულიად საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სრ. საქ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა ავადმყოფების, დაჭრილ წ.-არმიელების, ომის ინვალიდების და სალაშქრო ნაწილებიდან სადემობილიზაციო წესით განთავისუფლებული წითელმოლაშქრეების და მათი ოჯახობისათვის საჭირო დახმარების აღმოსაჩენათ, რუსეთის მზგავსათ, მოეწყოს საქართველოში საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი.

— **მუშები ძეგლს უგებენ ლენინს** ტ.-კ. სახ. კომისართა საბჭოს საავტომობილო გარაჟის მუშებმა დაადგინეს: მოწოდებით მიმართონ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს, რომ სურვილისამებრ გაიღონ თავიანთი წვლილი ვლ. ი. ლენინის ძეგლის ასაგებათ.

— **ლენინის ძეგლის პროექტი.** ლენინის ასაგებ ძეგლის პროექტის წარმოდგენის ვადა ქალ. აღმასკომმა გააგრძელა 10 თებერვლამდე.

— **ს. ტოლოშში მდ. მტკვარზე ხიდის აგება.** სოფ. ტოლოშში მდ მტკვარზე ხიდის ასაგებათ შესადგენ პროექტისათვის საქ. სახ. კომისართა საბჭომ გაიღო 300 მან. ჩერ.

— **დახმარება ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილ მოქალაქეებს.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დახმარება აღმოუჩინა ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილ 17 გაჭირვებულ მოქალაქეს, რომლებიც იყვნენ გადმოგზავნილი ქუთაისიდან და ბათომიდან. მათ აგრეთვე მიეცათ შეღავათიანი ლიტერები და საგზაო დახმარება.

— **ჟურნალი „მომავალი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მომავალი"-ს № 1 (20), შემდეგი შინაარსით: 1) ალიო მაშაშვილი—ლენინ, 2) ტროცკი—ლენინი აღარ არის, 3) კაკი ეწრელი—ლენინს, 4) ლ. კამენევი—ლენინი და ახალგაზრდობა, 5) ფ. მახარაძე—ძირითადი ლენინის მოძღვრებაში, 6) ნ. ბუხარინი—რევოლიუციონური თეორეტიკოსი, 7) პრეობრაჟენსკი—პარტიის ბელადი, 8) ლენინის ბიოგრაფია, 9) მნიშვნელოვანი ფაქტები ლენინის ცხოვრებიდან. ლიტერატურა: 1) ა. მაშაშვილი—ციხეში, 2) კაკი ეწრელი—კენტი ცრემლები, 3) ალ. მაშაშვილი—წარღვნა,

4) ა. ბეზიმენსკი—„კომსომოლია“, 5) ლ. ტროცკი—ფუტურიზმი, 6) პ. ქიქოძე—კ. ლიბკნეხტი ხელოვნების შესახებ, 7) პ. ქიქოძე—ფურცლები მსოფლიო ლიტერატურიდან, 8) შ. რადიანი—ფურცლები პროლეტარულ პოეზიიდან. თეორეტიულ მარქსისტული განყოფილება; 9) შ. დოლიძე—მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები, 10) მარქსისტი—ოსვალდ შპენგლერის მოძღვრება. მეცნიერული განყოფილება; 11) ვლ. ჩხენკელი—ინსტიქტი და გონება, 12) ე. ეჯულინგი—ჩარლზ დარვინი და კარლ მარქსი. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა; 13) ახალგაზრდათა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. პოლიტიკური მიმოხილვა, კავშირის აღმშენებლობა; 14) ქ. ფრანგიშვილი—კავშირის ახალი ამოცანები; 15) ვ. დარახველიძე—ჩვენი ახალი ამოცანები; 16) რ. აგამალიანი—ახალი კურსის შესახებ. ბავშვთა მოძრაობა; 17) ა. მდივანი—სოციალური აღზრდა ბავშვთა მოძრაობაში, 18) ერგმარი—პროლეტარული სპორტისთვის, 19) საერთაშორისო მდგომარეობა და ბავშვთა მოძრაობის ახალი ამოცანები. თვით-განვითარება—ქ. პ. თვით-განვითარების სისტემაზე. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჟურნალი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

— **მთავარი საავადმყოფოების შეკეთება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გამოიმუშავა ხარჯთ-აღრიცხვა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს შესაკეთებლად.

— **შრომის ბირჟა.** 4 იანვარს აღრიცხვაზე გამოცხადდა—74 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—128, მოთხოვნილება იყო—38, სამუშაოზე გაიგზავნა—54.

— **ამხ. ლენინის სახელობის ფონდი უპატრონო ბავშვთა დასახმარებლათ.** უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შესდგა კომისია, რომელსაც ეწოდება: „ამხ. ლენინის სახელობის ფონდის შემქმნელი კომისია უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ“.

— **უმუშევართა საკითხის მოწესრიგება.** საქ. შრომის კომისარიატმა დაადგინა: უმუშევართა საქმის მოწესრიგების და უმუშევართა სასადილოს მოწყობის საკითხი განსახილველად გადასცეს უმაღლეს ეკონომიური საბჭოს.

შემთხვევები

— ცეცხლი. 2. თებერ. საღამოს 9 საათზე ბეთლემის შესახვევში № 27 სერგო მელიქოვის ასულს, ორივე თვალებით ბრმას, ქურიდან გადმოუვარდა ნაკვერცხალი, რომელიც ჩავარდა თივაში და გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ადგილობრივ ძალებით.

— ბანდიტის შეპყრობა. 2 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს ბანდიტი გიგო იოსების ძე ვანიშვილი, რომელიც გაექცა გარე-კახეთის მილიციის თანამშრომლებს 26 იანვარს, რის გამო ატეხილ სროლის დროს ბანდიტი ვანიშვილი დაჭრილი ყოფილა მარცხენა მუხლში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ჰუგენოტები“—მეიერბერის

პარასკევს, 1-ლ თებერვალს, სახელმწიფო ოპერის სცენაზე განახლებული იყო ოპერა „ჰუგენოტები“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ საოპერო დასის საუკეთესო ძალები.

პრემიერა არ შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე წარმოდგენად მიმდინარე სეზონის განმავლობაში. ოპერა მომზადებულია კარგად და ორკესტრი, რომელსაც პარტიტურაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი, საერთოდ მშვენივრად ასრულებს თავის პარტიას, მხოლოდ ზოგიერთი ადგილების შესრულება ვერ იყო ამოცანის სიმაღლეზე.

რაულის პარტიას მღეროდა მოსინი. მას იშვიათი სიძლიერის ხმა აქვს; ამას გარდა მომღერალი საკმაოთ მუსიკალურია, მაგრამ რაულის (ოპერის გმირი) პარტიის შესრულებისათვის საჭიროა სიმღერა და არა მარტო ხმის სიძლიერე და მშვენიერი მაღალი რეგისტრი. მოსინმა აღტაცება გამოიწვია აუდიტორიაში თავისი მაღალი ნოტებით პირველი არიის ფინალში და მესამე აქტის სექსტეტში, მაგრამ პარტიის ყველა ლირიული ადგილები—ასეთები კი ბევრია ოპერაში—მკრთალად იყო შესრულებული.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ჩაითვალოს გრაფ დე-ნევერის პარტიის შესრულება მოქ. დეველტის მიერ. კარგათ იყო გადმოცემული სცენა ვალენტინასთან დაპატიმრების წინ (მეოთხე აქტი). პარტიაში უფრო მნიშვნელოვანია სცენიური მხარე, ვიდრე სიმღერა, და ამიტომ საჭიროა ნათელი სახის, ტიპის მიცემა. მსახიობმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

მოქ. პანკრატოვასაგან, რომელიც მღეროდა ვალენტინას უძნელეს პარტიას, უფრო მეტს მოველოდით. მთელი თავისი დიდი ვოკალური და აგრეთვე შესამჩნევი სცენიური ნიჭი მსახიობმა გადაშალა აუდიტორიის წინაშე მესამე აქტში (ცნობილი არია სობროს წინ და დუეტი მარსელთან). ხმა აქ საუცხოოთ ჟღერდა. კარგი იყო მომღერალი მეორე აქტის დიდ ფინალში და სცენაში შეთქმულების წინ, მაგრამ მეოთხე აქტის დიდებული და ორიგინალური დუეტი მკრთალათ იყო შესრულებული—მსახიობს თითქოს დაეკარგა განწყობილება. მსახიობ ქალის დაბრუნებას დასში მივესალმებით.

კარგია, ვოკალური მხრივ, დედოფალი მარგოს პარტიაში პოპოვა; მსახიობმა გადაგვიშალა ხმის განსაცვიფრებელი ტეხნიკა და დიდი მუსიკალობა.

მეტად კარგია ისეცკი გრაფ სენ-ბრის პარტიაში; შეთქმულების სცენაში გრძნობ, რომ მეამბოხეთა გული და სული ის არის.

მოქ. სტრიჟენოვამ უნდა შეიგნოს ბოლოს, რომ რიტმი სიმღერაში ფუფუნება კი არ არის, არამედ აუცილებელია; ურიტმოთ სიმღერას დილეტანტური ხასიათი აქვს, რაც დაუშვებელია სერიოზულ სცენაზე.

კარგათ არის დადგმული ცეკვა (ჭაბუკიანი, ლეონოვა, ლიტვინენკო, გორსკი).

გუნდი კარგათ მღერის. დადგმა სტილიურია, ეპოქის შესაფერისი.

პ. ბებუთოვი.

„მამის მკვლელი“. სახ. კინომრეწველობა ამ დღეებში დაასრულებს კინო-სურათს ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან „მამის მკვლელი“.

— **„თეატრი და ცხოვრება“** გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“-ს მორიგი (4) ნომერი.

— **პროლეტკულტის დრამატიული სტუდია.** პროლეტკულტის დრამატიული სტუდიის რეჟისორი დ. კობახიძე ამზადებს სტუდიის ძალებით ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყაროს“ ახალი მიზან-სცენებით.

— **ნიკო გოცირიძის იუბილე.** ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გაიმართება თებერვლის დამლევს რუსთაველის თეატრში.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „კარმენი“.

— **რუსთაველის თეატრი.** სომხური წარმოდგენა.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

27 იანვარი დაბა აბაშაში

27 იანვარი ისტორიულ დღით დარჩება აბაშის მშრომელ გლეხობისათვის. თითქოს ბუნებამაც იგრძნო ამხ. ლენინის უკანასკნელი გამოთხოვების დღე. დილიდან ცა მოიღრუბლა. 9 საათიდან აბაშას მოაწყდა აუარებელი ხალხი სოფლებიდან. ლენინის ძეგლთან დგანან საპატიო ყარაულები. ყველა, დიდი და პატარას უნდა დაესწროს დღეს აბაშაში სამგლოვიარო მიტინგს. 10 საათიდან იწყება დარაზმვა პარტორგანიზაციების, მოსამსახურეების, მოწაფეების, შრომის არტელის მუშების და ახალგაზრდა წვევანდელების, სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად.

3 საათიდან ყველა ორგანიზაციები დარაზმულად მოდიან რაიპარტკომის შენობის წინ, იქ ჩერდებიან, რათა აქედან დაიძრას პროცესია. მოაწყდა ზღვა ხალხი. 2 ნახევ. საათზე რაიპარტკომის დარბაზიდან გამოაქვთ ამხ. ლენინის ბიუსტი. ბიუსტს ლებულობენ საპატიო ყარაულები. უკრავს მუსიკა. პროცესია დაიძრა ადგილიდან. საპატიო ყარაული მუსიკით მიდის პროცესიის წინ. აქა იქ ხალხში ისმის ქვითინი, მწუხარება, ყველა დაღონებულია. ყველა იცნობს ლენინს, ბავშვებიც იცნობენ ლენინს, გამოიხატება ეს ბავშვების სამგლოვიარო სიმღერაში და ლენინის ხშირად ხსენებაში.

დიდი სახელი ლენინი უბრალო სახელიც არის, ყველას შეუძლია გამოსთქვას ეს სახელი, ლენინი ყველასია, ვინც შრომობს და ოფლსა ღვრის. პროცესიის დროს მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს, მას ჩაექსოვა პატარა მოწაფეთა ჰიმნი. პროცესია გაგრძელდა ნახევარი საათი და ტრიბუნას დაუახლოვდა. ყველა იშურება ტრიბუნისაკენ. მაღალი ტრიბუნიდან მოსჩანს ზღვა ხალხი. წითელ დროშებს შავი არშია აქვს შემოვლებული. მიტინგს ხსნის ახალ-აბაშის რაიპარტკომის მდივანი ვასილ კაჭარავა. უკრავს მუსიკა. ორატორებს განაწილებული აქვთ წუთობით სიტყვები, ვინაიდან სრულ 4 საათზე ლენინს ჩაუშვებენ საფლავში იქ, მოსკოვში და თანახმად ამისა აქაც ამავე დროს უნდა მოხდეს მიტინგის დახურვა და სალიუტი.

სიტყვას ამბობს სამ-პარტკომიდან ამხ. მამონტი კაჭარავა. შეეხო ლენინის ბიოგრაფიას და მის მოღვაწეობას. მერე გამოდის აბაშის მასწავლებელთა სახელით (ყოფილი მენშევიკი) მასწავლებელი, ქ. ლარა გიორგი ბოკერია; მან დააფასა ლენინი, როგორც დიდებული მასწავლებელი კომუნიზმისა, რომელმაც სისხლი და ხორცი შეასხა მარქსიზმის თეორიას. ტეხნიკუმის მოწაფეთა სახელით სიტყვას ამბობს მოწაფე ჭილაძე. გიორგი ბოკერიამ და ჭილაძემ წაიკითხეს თავიანთ მიერ შეთხზული ლექსები, რამაც ხალხში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მშრომელი გლეხობიდან ილაპარაკა ბორის ჭანტურიამ, რომელმაც გლეხური და უბრალო ენით დაუსურათა მიტინგს ამხ. ლენინის მოღვაწეობა მშრომელ გლეხობისა და მუშათა კლასის სასარგებლოდ.

მიტინგი იხურება. იგრიალა თოფებმა. ხალხი ნელ ნელა დაიშალა.

ვახკაჭ.

ამხ. ლენინის გლოვა ქალ. ხაშურში

22 იანვარს ღამით დეპეშამ გვაცნო ილიჩის გარდაცვალება. მეორე დღეს ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქის ყველა მიდამოებს, თემებსა და სოფლებს. არავის არ სჯეროდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სიკვდილი, მით უმეტეს ბოლო ხანებში გამოჯანსაღება ეტყობოდა და ხალხი დაიმედებული იყო, რომ ახლო მომავალში შეუდგებოდა ძვირფასი საქმის გაგრძელებას. მაგრამ უკანასკნელმა დეპეშამ გვაცნო თავზარდამცემი ამბავი, რომ აღარ გვყავდა ჩვენი ბელადი, არაჩვეულებრივი ადამიანი, რომლის მსგავსი იშვიათად მოევლინება ხოლმე კაცობრიობას.

ჩამოეშვა პირველად პარტიულ დაწესებულებებიდან შავი სამგლოვიარო დროშები; მალე მთელი ბაზარი და დაწესებულებანი გაეხვია შავ ძაძებში. გამეფდა ირგვლივ დუმილი, მწუხარება.—გათენდა 27 იანვარი—დღე საშინელი განცდისა. ამ დღეს თითქოს ბუნებაც სტირის და გლოვობს, ქარის საშინელი გრიალი თითქოს რაღაც თავზარდამცემ ამბავს გადმოგვცემს. მართლაც თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი ამბავია ძვირფასი მასწავლებლის ილიჩის სიკვდილი.

პროცესია აღმასკომის ეზოდან სამგლოვიარო ჰიმნით მიემართება ამხ. ლენინის ძეგლისაკენ, სადაც მოკლე სამგლოვიარო სიტყვას ამბობს ამხ. ტატე მუხრიკიძე, რის შემდეგ ყველა თავჩაღუნული, მუხლმოდრეკით პატივსასცემს მუშათა კლასის დიდ მასწავლებელს. აქედან სამგლოვიარო პროცესია მიემართება საზაფხულო თეატრის დიდ დარბაზში, სადაც უნდა გახსნილიყო სამგლოვიარო მიტინგი. სამგლოვიარო მიტინგს ხსნის ხაშურის რაიკომის სახელით ამხ. ტატე მუხრიკიძე, რომელიც თავის მოკლე, მგრძნობიარე სიტყვაში ახასიათებს ამხ. ლენინის პიროვნებას და მოღვაწეობას. გამოდიან—სხვა ორატორები: ალ. ბარბაქაძე—საბჭოს სახელით, ბალანჩივაძე—კომკავშირის სახელით, პლატონ გაგნიძე კომიაჩეიკის სახელით, დიდაძე და სმირნიცკი ხაშურის კომკავშირის სახელით, სამადბეგოვი—მეშვიდე ქართულ უფ შემადგენლობის სამხედრო სკოლის ხელით, და ზაქ. ნებიერიძე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების სახელით. სიტყვების ამოწურვის შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია, სადაც ფიცსა სდებენ, რომ მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მათ გულში და არ გადაუხვევენ იმ გზას, რომლითაც მიყავდა ამხ. ლენინს მუშათა კლასი. მიტინგი იხურება; გუნდი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. პროცესია მიემართება აღმასკომისაკენ, საიდგანაც გულ დაწყვეტილი საზოგადოება ერთმანეთს შორდება.

ი. გაგოშიძე.

სოფ. ზემო ფარცხმა (გურია)

ეს სოფელი მდებარეობს დაბა ჩოხატაურიდან აღმოსავლეთის მხრით ოთხი ვერსის მანძილზე. კომლთა რიცხვი აღწევს 180 მდე. სოფლის შუა ალაგას არსებობდა ეკლესია. ამ ეკლესიასთან აგრეთვე იყო აგებული ძველი დროიდან სატუსაღო სახლი. ქვის შენობა. 1892 წლიდან ამ ეკლესიასთან გაიხსნა ეგრედწოდებული სამრევლო სკოლა, რომელიც მოთავსებულ იქნა ყოფილ სატუსაღო სახლის შენობაში. სკოლის ხელმძღვანელი და ინიციატორი (მასთან მასწავლებელიც) იყვნენ ძმები ხარიტონ და ხალამპრე ცინცაძეები. ამ სკოლას მიუხედავათ იმისა, რომ ის სამრევლო იყო, ისტორიული წარსული აქვს მით, რომ მასში ანბანი დაიწყო და აღმოიზარდა ბევრი ისეთი პირები, რომლებიც რევოლიუციონერები გამოდგენ, ამოუდგნენ გვერდში ქალაქის მუშებს განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1901 წლიდანვე; ბევრმა თავი შესწირა გმირულათ რევოლიუციონურ მოძრაობას. და ბევრი დღესაც არიან საპასუხისმგებლო ადგილებზე. დაიწყო თუ არა პარტიაში ფრაქციული განხეთქილება 1903 წლიდან, აღმოსავლეთ გურიაში პირველათ ამ პატარა სოფელში ხსენებული სკოლის ყოფილ მოწაფეების მიერ ჩაეყარა საძირკველი ბოლშევიკურ ორგანიზაციას, რომლის უპირველესი მომუშავე იყო ამავე სკოლის მოწაფე ამხ. იესე (პეტრე) ცინცაძე. ის გმირულათ შეეწირა 1905 წლის რევოლიუციას, 18—დეკემბერს „ნახალოვკაში“ ცხრა ამხანაგებთან ერთათ.

ეს სკოლა იყო ძველი დანგრეულ და ნესტიან ქვის შენობაში, რომელიც სკოლისთვის სრულიათ გამოუსადეგარი იყო, მაგრამ მცხოვრებლების სიღარიბის გამო დღემდი ასე მოაღწია. გასული წლის ოქტომბერში ადგილობრივი თემის აღმასკომის მიერ შეკრებილი იქნა ამ სოფლის მცხოვრებლები, რომლებსაც აუხსნეს სკოლის მდგომარეობა და გაუქმებული ეკლესიის შენობის მათი სურვილისამებრ მოხმარა. კრებამ ერთხმათ დაადგინა დაინგრეს ძველი სკოლის უვარგისი ქვის შენობა და მის ადგილზე დაიდგას ადგილობრივი ეკლესიის ხის შენობა, რომელიც, რასაკვირველია, დამატებას მოითხოვს, და აიგოს—იქ ორი ოთახი სკოლისთვის და ერთიც სამკითხველოსთვის. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ კრებამ აირჩია სამშენებლო კომისია შვიდი კაცისაგან შემდგარი და მიანდო მას ყოველგვარი აღმშენებლობითი მუშაობა.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე დაადგინა, თანახმათ საზოგადო კრების დადგენილებისა, დაშალოს ძველი უვარგისი შენობა, გადმოტანილ იქნას ეკლესიის შენობა და აგოს სკოლისა და სამკითხველოსთვის სავარგისი შენობა.

სკოლა და სამკითხველო გაიხსნას ამხ. იესე ცინცაძის სახელობაზე. კომისიამ თავისი მუშაობა ძალიან ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა და სკოლის შენობის კედლები ერთ თვეში უკვე აგო და ქერამიკით დახურა. ეხლა მას ესაჭიროება შიგნით იატაკი, ფანჯრები და სხვა მრავალი, რომელიც დიდძალ თანხას მოითხოვს. ამიტომ კომისია მთელი ხალხის სახელით მოუწოდებს იმ სოფლის მცხოვრებთ, ყველა იმ პირებს, რომლებიც არიან სხვადასხვა ქალაქებში, სამსახურში ან მცხოვრებნი,—კეთილ ინებონ და როგორც თვითონ აგრეთვე თავიანთ მეგობრებში შეაგროვონ წვლილი და აღმოუჩინონ დახმარება ამ ფრიად სიმპატიურ საქმის დასრულებაში.

ხეფე ცინცაძე.

მენშევიკის განცხადება

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში შემდეგ ჩემს განცხადებას:

მე, ერთ დროს ყოფილი მენშევიკი, საბჭოთა ხელისუფლებასთან ხანგრძლივ თანამშრომლობის დროს ახლოს გავიცანი ქვეყნისათვის ხსენებულ ხელისუფლების ფრიად სასარგებლო აღმშენებლობითი მოღვაწეობა და ნათლად დავრწმუნდი, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ჭეშმარიტი დამცველი მუშათა და გლეხთა და საერთოდ ყველა მშრომელთა და დაჩაგრულთა ინტერესებისა,—დავსტოვე მშრომელი ხალხის მოღალატე მენშევიკური პარტია და ვცდილობ ჩემი მცირე ძალღონე მოვახმარო მუშურ-გლეხური მთავრობის განმტკიცების და მშრომელთა ქვეყნის აღორძინების საქმეს.

ნიკოლოზ მ თოთიბაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი. 1924 წ. იანვრის 30.

ფოსტისადმი მიმართვის დროს იმ პირთა ხელმოწერისა და პირადობის უსასყიდლოთ დამოწმების შესახებ, ვინც სოფლის მშრომელ არა-შემძლე მოსახლეობას ეკუთვნის.

რათა გაადვილებულ და გამარტივებულ იქნეს სოფლის მშრომელი არა-შემძლე მცხოვრებთათვის წესი ფოსტიდან კორესპონდენციის მიღებისა,—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უფლება მიეცეს სარაიონო (თემის) და სოფლის აღმასრულებელ კომიტეტებს უსასყიდლოთ დაამოწმონ ხოლმე იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა ფოსტის უწყებაზე და პირადობა, ვინც სოფლის მშრომელ არა-შემძლე მოსახლეობას ეკუთვნის და აგრეთვე დაამოწმონ ხოლმე მათივე რწმუნების ქაღალდი ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენციის მისაღებად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგილე
დ. ჰუსეინოვი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
პ. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ც. კ-ის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება აცხადებს ქვემოჩამოთვლილი ამხანაგების საყურადღებოთ, რათა ისინი გამოცხადდენ ს. კ. პ. ც. კ-ის საალრიცხვო განმანაწ. განყოფილებაში და მიიღონ მთლიანი პარტ-ბილეთები: 1) ნესტორ ონისიმეს-ძე ჩოხონელიძე, 2) ივანე პავლეს-ძე ჯიჯიშვილი, 3) ნიკოლოზ სპირიდონის-ძე კვინტრაძე, 4) გალაკტიონ არჩილის-ძე ჯიბუტი, 5) ამირან სერგის-ძე კვინტრაძე, 6) გიორგი დიმიტრის-ძე კიკვაძე და 7) ვარვარა ანანიას ასული კალანდაძე.

ს. კ. პ. ც. კ-ის საალრიცხვო განმანაწილებელი განყ. გამგე: ა. ლიცინოვი.

ცხადდება ყველას საყურადღებოთ, რომ **განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის ტფილისის 4 ბატალიონის შტაბი** გადავიდა კარლ მარქსის მოედნიდან № 2 ჯორჯიაშვილის ქ. (ყოფ. ბარიატინის) № 8.

განსაკუთრებულ დანიშნულების ტფილისის 4-ე ბატალიონის კომანდირი
დოლიძე

— **საქართველოს კომპარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს 6 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათ., ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

მდივნის მაგიერ პირალოვი.

— **საქართველოს კომპარტიის ცკა** წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რაიმე მასალები (წერილები და სხვა) ამხ. ლენინის ცხოვრების შესახებ, გამოგზავნონ ისინი ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ლენინის ინსტიტუტის კორესპონდენტის ამხ. ორაგველიძის სახელზე, ლენინის ინსტიტუტში გადასაგზავნათ.

ცკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

— **საქართველოს კომპარტიის ცკას სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება** ამით აცხადებს, რომ ყველა მსურველებმა, რომელთაც სურთ შევიდენ წითელ პროფესურის ინსტიტუტში (მოსკოვში) 1924—1925 სამოსწავლო წელში, უნდა შეიტანონ განცხადება საქართველოს კომპარტიის ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში არა უგვიანეს ა—წ. 18 მარტისა.

ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი.

პროფესიულ

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში:

— ხუთშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე პოლიტგანათლების მთავარ მართველობასთან არსებულ სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დანიშნულია სასკოლო სექციის მორიგი კრება.

ამ კრებაზე დასასწრებად მოწვეულია ქ. ტფილისის ყველა მოზრდილთა სკოლების მასწავლებელი.

კრებაზე გ. კონიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „კითხვა მოზრდილთა სკოლებში კომპლექსიური მეთოდით სწავლების შესახებ“.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს
გიორგ კაიზერის **პრემიერა**
გაზ
5 მოქ. თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა

შაბათს, თებერვლის 9-ს
პროფკავშირის წევრთათვის
გაზნაურებული მდაბიო

კვირას, თებერვლის 10-ს
ტასო აბაშიძის
25 წლის
იუბილე
კრ. 875 3—1

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
1923—24 წლის სეზონი

დღეს, 6 თებერვალს
კარმენი

ხვალ, 7 თებერვალს
ჰუგენოტები

პარასკევს, 8 თებერვალს
ლოენგრინი
ნის. 874 3—1

განცხადება ყველას საყურადღებოდ

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და მოქალაქეთა საყურადღებოთ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ. რომ ქ. ტფილისში მას ჰყავს კონტრაგენტი, რომელიც აწარმოებს ხელ-მოწერას მარტოდ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, რომელსაც აქვს ექსპედიციიდან მიცემული სათანადო მანდატი, რომ ვინმემ არ ისარგებლოს შემთხვევით. ექსპედიცია სთხოვს, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო ხელმომწერთ, როდესაც მათგან ცდილობს აგენტი ხელმოწერას მოსთხოვოს მას საამისო მანდატი.

ზემოაღნიშნული ზომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ექსპედიციაში ხშირად მოდიან, როგორც დაწესებულებებიდან, ისე კერძო პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათგან მიუღიათ ვიღაცას ხელმოწერა, როგორც მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, ისე ადგილობრივის. აცხადებს რა ამას, ექსპედიცია ამით აუწყებს, რომ ასეთი შემთხვევებში პასუხისმგებლობას ის არ იღებს თავის თავზე.

უფ.—3—3 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა
სცემს ყოველთვიურ სამხატვრო-სალიტერატურო, მეცნიერულ მარქსისტულ ჟურნალს სახელწოდებით

„მნათობი“

ამხ. ქართველიშვილის რედაქტორობით

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

1. **მხატვრული ლიტერატურა.**
2. **მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა.**
3. **მეცნიერება და ტეხნიკა.**
4. **პუბლიცისტიკა და ლიტერატურული კრიტიკა.**
5. **საერთაშორისო პოლიტიკო-ეკონომიური მიმოხილვა.**
6. **ბიბლიოგრაფია ა) სისტემატიური, ბ) მიმდინარე.**
7. **თვითგანვითარება.**

ჟურნალში სათანამშრომლოთ მოწვეულნი არიან საქართველოდან და მოსკოვიდან ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერების წარმომადგენლები, მგოსნები და სხ.

რედაქცია მოთავსებულია პოლიტგანათლების ბინაზე, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, სადაც უნდა გაიგზავნოს წერილები და მასალები მ. გოგიბერიძის სახელზე. ნის. 877 2—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—12

ამინდი ამიერ-კავკასიაში

4 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

სოხუმში... 4 გრ., ფოთში... 2 გრ., ბათომში... 3 გრ., სამტრედიაში... 1 გრ., ქუთაისში 2 გრ., აჯამეთში... 2 გრ., ჭიათურაში... 2 გრად., ბორჯომში.. 3 გრ., სურამში.. 3 გრად., მუხრანში... 3 გრად., ტფილისში... 3 გრ., მუკუზანში... 0 გრ., ერევანში... 1 გრ., ბაქოში... 5 გრ.

ღრუბლიანობა: ქუთაისში და მუხრანში მნიშვნელოვანი; ტფილისში—მეტად საგრძნობი; დანარჩენ ადგილებში მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: აჯამეთში—აღმოსავლეთის, ნელი; ფოთში—აღმოსავლეთის, ნელი. ბაქოში—სამხრეთის, ნელი.

ნალექი: სოხუმში წვიმა ღამით და დილის 7 საათზე.

ზღვის [illegible] ფოთში, ბათომში [illegible] ქორანში—[illegible].

ამინდი საქართველოში.

ცვალებადი ღრუბლიანობა, სავლეთ საქართველოში ალაგ-ალ ნალექი, მდ. რიონის ხეობაში რი. ყინვა აღმოსავლეთ საქართ ლოში.

ჩრდილოეთ-კავკასია.

4 თებერვალი. დილის 7 საათი.

კაზბეგი. ტემპერატურა—7 გრ მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-დასა ლეთის ნელი ქარი.

კიზლიარი. ტემპერატურა—9 გ მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ტფილისი

5 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 4 გრ., ღრუბლი ნობა—მნიშვნელოვანი, ქრის ჩრდ ლოეთის ქარი.

დადგენილება № 2.

საქართველოს შინა-ვაჭრობის კომისიისა

საქართველოს ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტის თამბაქოს ნაწარმოებ

დაწესებულ იქნენ შემდეგი ფასები:

პაპიროსები კოლოფებში	1000 ცალი.
„საიუბილეო“	13 მან.
„სოვეტსკიე“ (ათ-ათ ცალიანი კოლ.)	9 მან. 25 კაპ.
„სოვეტსკიე“ (25 ცალიანი კოლ) № 5.	8 მან 75 კაპ.
„იუნკერსი“	8 მან. 50 კაპ.
„პროლეტარი“	8 მან. 50 კაპ.
„სოლიდნიე“ № 27	7 მან 75 კაპ.
„ხან კეფი“;	7 მან 50 კაპ.
„ეგიპეტსკიე“	6 მან. 50 კაპ.
„დელიკატესი“	6 მან. 50 კაპ.
„მეფისტოფელი“	7 მან. 25 კაპ.
„სოვეტსკიე“ № 3	6 მან. 50 კაპ.
„პრიმა“	6 მან.
„№ 105“	5 მან. 75 კაპ.
„ირის“	5 მან. 50 კაპ.
პაპიროსი პაჩკებში	1000 ცალი.
„ეგიპეტსკიე“	6 მან.
„დელიკატესი“	6 მან.
„ზაკფედერაცია“	6 მან.
„ბუკეტი“	5 მან. 25 კაპ.
„ეკსტრა“	5 მან.
„დარიალი“	5 მან.
„როსკოში“	4 მან 80 კაპ.
„მარსი“ (მე-2 ქარხნის)	3 მან 60 კაპ.
„ზვეზდა“	3 მან. 60 კაპ.
„ზარია“	3 მან. 60 კაპ.
№ 5 (მე 3 ხარისხი)	3 მან. 60 კაპ.
„მარსი“ (მე 4 ქარხნის)	3 მან. 60 კაპ.
თამბაქო პაჩკებში	1 გირვ.
№ 19	2 მან. 80 კაპ.
კეფ № 20	
„სლონი“ (უმაღლეს ხარისხის)	3 მან.
№ 52 (ყოფ საფაროვისა)	2 მან. 40 კაპ.
„კრიმსკიე“ № 16.	2 მან. 50 კაპ.
„ოტბორნიე“	
„სამსუნი“ მაგარი.	2 მან. 35 კაპ.
„№ 120“ (მე-2 ხარისხი)	1 მან. 40 კაპ.
№ 108	
„შირაქი (უქარხნოდ)	
„ნაროდნი“ № 110	
„საგანგებო“ მე 3 ხარისხი (1-ლი ქარხნის)	
„საგანგებო“ მე-3 ხარისხის (მე 6 ქარხნის)	
„საერო“	
„ნაროდნი“ № 7	1 მან. 35 კაპ.
„ნაროდნი“ (მე 4 ქარხნის)	
„სამსუნი“	
„შირაქი“ მე 3 ხარისხის (1-ლი ქარხნის)	

აღნიშნული ფასები სავალდებულოა საქართველოს ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტის ტფილისის, ქუთაისის, ბათომის და ერივნის საწყობებიდან თამბაქოს ნაწარმოების გაცემის დროს.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს შინავაჭრობის
კომისიის თავმჯდომარე [illegible]. ნის. 876 1—1

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოთ. 25—25

დაიკარგა პასპორტი, მარიამ ავეტიკის ასულის ბანდალიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 495 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა №4663, პირადობის მოწმობა, მოცემული რაჭის მაზრაში აკაკი დოხნაძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 496. 1—1

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის საწევრო წიგნაკი გერმანე ვასილის ძე გიორგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

სრულიად რუსეთის სამკ. მრეწველობის სინდიკატის
ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება

„სინდშვეიპრომ“ და „აზოდეჟდა“

ყველას აძლევს საშუალებას მოირთონ ტანთსაცმელთა მაღაზიებში თავისი დამზადებულ საქონლით.

ტფილისი: რუსთაველის პროსპექტი № 10 ტელ. № 6—78.
ბაქო: 28 აპრილის ქუჩა, ყოფილი ტელეფონის, № 6—1, კრივაია № 2.

მუშებსა და მოსამსახურეებზე კოლექტიურად ნისიად გაცემა

ყველა დაწესებულებებს, პროფკავშირებს, სამხედრო ნაწილებს, კოოპერატივებს შეუძლიათ შეიძინონ 25-30 პროც. დაკლებით ნისიად ოთხი თვის ვადით საჭირო დამზადებული ტანთსაცმელი განუსაზღვრელ რაოდენობით.

დაწვრილებით ადგილობრივ. ✕ ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების გამგე: ზ. ბაჯიევი.
კრ. 873 4—2. ტფილისის განყ. გამგე: კანდე.

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.